საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერ

ოთხშაბათი, 17 მარტი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

ფასი ერთი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე [illegible] გან 3 მანეთი. განცხადების ფასი ხაზით პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხანგრძლივიანი განცხადება შეთანხმებით. მარტო 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელთ ნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კონსტანტინეს ქ. 4, მესამე [illegible] ქუჩის შე-12-თან. ტელეფონი 16—62

№ 62 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 62

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე იასე ალექსანდრეს ძე მარათაშვილი, დედა ნინო ივანეს ასული, მამა კონსტანტინე იოსების ძე, ძმა ვიქტორი კონსტანტინეს ძე, რძლები ნადეჟდა ნიკოლოზის ასული და პრასკოვია პეტრეს ასული სვიმონიშვილები, დედამთილი ანასტასია ალექსანდრეს ასული და მაზლი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მარათაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

**ელენე კოსტ. ასულის მარათაშვილის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი 17 მარტს, ოთხშაბათს, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, პანაშვიდი შუადღის 12 საათზე. (986—2—2)

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის ხელმძღვანელობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგ-მეგობრებს რაზმის ძვირფასი თანამშრომლის

**გიორგი მაქსიმეს ძე ძნელაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 14 ამა მარტს საღამოს 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 6 საათზე, სოლოლაკის ქ. № 10, დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე ხუთშაბათს 18 მარტს დილის 10 საათზე (990 1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფი ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიმაკაძე აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს, 18 მარტს გადახდილი იქნება ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მეუღლის

**იულია დავითის ასულის ჩიმაკაძის**

სულის მოსახსენებლად იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში (ვერაზე) წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 991 2—1)

თავზარდაცემული უბედური დედა ანნეთი მშვიდობაძისა, ძმა სოკრატი, ბიძები: ირაკლი მშვიდობაძე, ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, ბიცოლები [illegible] და ელისაბედ მშვიდობაძეებისა, მამიდა ნინია ნიკოლაიშვილისა და ბებია ელისაბედ უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოგვტაცა ხელიდან მათთვის დაუვიწყარი ქუთაისის ხოჯევანოვის სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფე

**ნეონილა (პაპულია) მშვიდობაძე**

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 18 მარტს 2 ს. სოფელ [illegible] ვაინში (გურია) (994 1—1)

გულდამწვარი ლეილა მაგდანა და ბიძა სიმონ აბაშიძე [illegible] შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი ძვირფასი ქუთაისის ხოჯევანოვის პროგიმნაზიის მე-3 კლასის მოწაფე

**ნეონილა (პაპული) მშვიდობაძე**

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 18 მარტს 2 საათზე სოფელ ქვიანში (გურია) (994 1—1)

ბებია მაკო ყიასაშვილისა, ბიძები: მიქელ, ვანო და მამა ყიასაშვილები ოჯახებით, დეიდები: ეკატერინე გომელაურისა და ანეტა ყიასაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ საყვარელი

**ნინა (ნიცკა) კონსტანტინეს ასული ნასიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს, 17 მარტს დილის 9 ს. მადათოვის ქ. № 6 ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, საიდაც წირვის შემდეგ მოხდება დაკრძალვა. (999 1—1)

გულ დათუთქული სიდედრი ელენე თავზარიძისა, ცოლის დები ოლღა და ნინა, ცოლის ძმა ილიკო თავზარიძენი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს დაუვიწყარი სიძის

**გერმანე ვლ. ტოტოჩავას (ლაბდოშვილის)**

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 17 მარტს, ოზურგეთში მთიდანანეს სასაფლაოზე. (996 1—1)

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე მარუსია, შვილი კოკა, მამა ვლადიმერ, ძმები შალიკო და სევერიანე, დები ელენე და [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის

**გერმანე ვლ. ტოტოჩავას (ლაბდოშვილის)**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 17 მარტს. მთიდანანის სასაფლაოზე, ოზურგეთში. (996 1 1)

გულმოკლული მეუღლე ივანე, შვილები: ოლღა, ნადეჟდა, გიორგი, ალიოშა. სიძენი: გალაკტიონი და კონსტანტინე გოლითაძის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, მარტის 14 ქუთაისში გარდაიცვალა მათი პირველი საყვარელი მეუღლე შვილების დედა, ხოლო შვილიშვილების ბებია

**თეო ოქროპირის ასული დათიაშვილი**

დამწუხრებულნი მეზობლები და ბიძა გიორგი [illegible] ძენი, დეიდა [illegible] და [illegible] შვილი [illegible] ახლობლები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ყველა მეგობართ დაუვიწყარი

**გერმანე ვლადიმერის ძე ტოტოჩავას**
**(ლაბდოშვილის)**

უდროოდ გარდაცვალებას. (996—1—1)

**ექიმი ბ. ა. [illegible]**

იღებს წინასწარ [illegible] 4—6 საათამდე. [illegible] ქუჩა № 22, [illegible]. (ნ.—თ.).

კბილის ექიმი

**ქ. გ. ბიბინეიშვილი.**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და 4—6 საათ. ნიკოლოზის ქუჩა № 64 (566—4—4)

## საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ნება დართო

ქალაქთა კავშირს

**მიიღოს** თავის საწყობებში **ტვირთი**

რომელიც მოდის საზღვარ-გარეთიდან მაზზე

## ტრანზიტის უფლების დაცვით

**გასატან ბაჟის გადაუხდელად და საქონლის საზღვარ გარეთ გატანის ნებართვის წინასწარ მიუღებლად.**

ქალაქთა კავშირის საწყობებში შეიძლება მიღებულ იქნეს შესანახად ტრანზიტის უფლების დაცვით, მხოლოდ ის საქონელი, რომელიც ტფილისში მოდის შემდეგი ადრესით: **ტფილისი, ქალაქთა კავშირის სატრანზიტო საწყობი, ამა და ამისათვის.** წესი ქალაქთა კავშირის სატრანზიტო საწყობებით სარგებლობისა მსურველს შეუძლია მიიღოს ქალაქთა კავშირის კომერციულ განყოფილებაში. (გოგოლის ქ. № 51, ტელეფონი 11—54 და 3—84). (ნ. 3—2)

## გ. ჩიჩერინის მესამე ნოტა

მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის ჯარმა დენიკინის არმიის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და სამხრეთისაკენ მოწევა დაიწყო, საქართველოს მთავრობამ ეს მესამე „ნოტა" მოსდის გარეშე საქმეთა „ნარკომის" ჩიჩერინისაგან. იმ წერილს, რასაც ბ. ჩიჩერინი საქართველოს მთავრობას უგზავნის, ვერ ეწოდება ნოტა. ეს არ არის საგარეო პოლიტიკაში მიღებული დიპლომატიური წერილი, რომელსაც მიზნათ აქვს გამორკვევა და დამყარება ურთიერთობისა ორ სახელმწიფოს შუა. ჩვეულებრივ „ნოტების" ეს მთავარი მიზანი ბ. ჩიჩერინის წერილებში სრულიად დაჩრდილულია, ეტყობა, ავტორისათვის ამ მიზანს დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რომ მას სულ სხვა განზრახვით მოუწერია თავისი „ნოტა" და ამ განზრახვის გამოაშკარავება ძნელი არ არის: პირველსავე „ნოტაში" ნათქვამი იყო, რომ იგი მიმართულია ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხის,—მუშათა და გლეხთა მიმართ. საქართველოს მთავრობაც იყო მოხსენებული, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ ადგილას. შინაარსი სამივე „ნოტისა" ერთგვარი აქვს არა სტილს, რომ ავტორი სწერდა მათ არა საქართველოს მთავრობისათვის, არა დიპლომატიური მოლაპარაკების მიზნით, არამედ საქმიან განზრახვით, არამედ სწერდა იმ მშრომელ ხალხს გასაგონად, რომელიც პირველ „ნოტაში" პირველ ადრესატად იყო დასახელებული. ბ. ჩიჩერინი „ნოტის" სახით საგიტაციო ფურცლებს გზავნის საქართველოში და საქართველოს მთავრობის ხელითვე ავრცელებს მათ ჩვენს ხალხში. ეს ერთნაირი დიპლომატიური „გზავნილი" იმდენად გულუბრყვილოა, ეს შავი „ტაქტიკა" ისე თეთრი ძაფით არის დაკერებული, რომ კაცს სწორედ ღიმილს მოჰგვრის. „ნოტების" დამწერს, ეტყობა, იმედი ჰქონიათ, რომ მათი ჭკუის ნაწარმოები ამღვრეულ წყალში, ჩვენი მთავრობისათვის სამწუხაროდ და საბჭოთა რუსეთისათვის სასურველ გავლენას იქონიებს ჩვენს მუშებზე და გლეხებზე.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის „ნარკომის" „ნოტების" კონსტრუქცია ადვილად იმდენად მცირეა, რომ სწორედ „კურიოზულ ადგილებად". ჭორები, ცილის-წამება, ფაქტების გადამახინჯება, უძლური ზვერი და თავგასული [illegible]—აი მთელი მათი შინაარსი.

ძნელი და უსიამოვნო საქმე იქნებოდა, რომ ბ. ჩიჩერინის ყველა ტყუილს სათანადო [illegible] ჩვეულებრივით. ეს არც მიზან-შეწონილი იქნებოდა: თვით საბჭოთა რუსეთს ამით ვერ დავაჯერებდით და ჩვენს მშრომელ ხალხზე კი ეს ჭორები და ტყუილები ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ.

მართლაც და რომელი შეგნებული მუშა ან რომელი თუნდაც საშუალო გლეხი დაიჯერებს, ვითომც ნოე ჟორდანიას მთავრობა [illegible] ოსმალეთის ჯარების [illegible] შემოყვანას [illegible]? ან ვის არ გაუცინებს ის ლეგენდარული სიცრუე, ვითომც ჩვენი მთავრობა „დიპლომატიურ ზომებს ღებულობდეს" ტყვეებული მუშების წინააღმდეგ? ან ვის არ აღაშფოთებს ის ცილისწამება, ვითომც საქართველოს მთავრობის თანხმობით გადაცემულ იქნეს ჩვენს რესპუბლიკაში შემოხიზნული „შ. თეთრ-არმიელები"? სიცრუის და პროვოკაციის დაუშრეტელი წყარო ბ. ჩიჩერინის უკანასკნელი „ნოტა" და მათი ამოწურვა შეუძლებელია.

ჩვენი რესპუბლიკის ხაზინის [illegible] ჰქონია განზრახვით ბ. ჩიჩერინს, ჩვენს მთავრობას [illegible] თავის „ნოტის" საშუალებით, მაგრამ, ამ თემაში თითონვე ვარდება. „ნოტაში" ბევრი იმისთანა ფაქტია მოხსენებული და იმისთანა საგანზეა ლაპარაკი, რომელიც საბჭოთა რუსეთის მესვეურთა [illegible] არ გაგვხსენებიათ ჩვენი ხალხისთვის, რადგან ეს ფაქტები ჩვენი ხალხის გონებაში განაცხოველებენ იმ მწარე წამებს, რომლებიც ბოლშევიკებმა მიაყენეს მას. [illegible] მოითხოვდა მაგალითად, რომ ბ. ჩიჩერინს სიტყვა არ დაეძრა თავის ამხანაგების [illegible] გამოსვლაზე [illegible] იმ შავბნელ დროზე, როდესაც ჩვენ დემოკრატიას თავს დაესხა ოსმალეთის ჯარი, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და როდესაც ბოლშევიკურ დროში ქვეყნის გამოსვლაში ოსმალეთის აგენტებში [illegible] ხალხს [illegible]. ამისთანა წამების გახსენებით არა გვგონია ბოლშევიკებმა მოიგონ რამე. [illegible] ბ. ჩიჩერინს დაავიწყდებოდეს მიეცა ისეთი სახელოვანი საზოგადო ხელშეკრულობა, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ბრესტ ლიტოვსკში დადო, ხელშეკრულობა, რომელიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიის განწირვას და გაყიდვას უდრის, რომლითაც ლენინის მთავრობამ ოსმალეთს ფეხქვეშ განართხა ჩვენი დემოკრატია, მთელი ჩვენი ერი, ყველა ის, რაც რევოლუციის გზით მოვიპოვეთ. საზოგადოთ პოლიტიკურ გულუბრყვილობით ან-და საზიზღარი ცინიზმით უნდა აეხსნათ ის, რომ ბ-ნი ჩიჩერინი უკანასკნელ „ნოტაში" რამდენჯერმე იხსენიებს ჩვენს ვითომდა „შეთანხმებას ოსმალ-ფაშებთან". ასეთი ლაპარაკი „ოსმალ-ფაშების" შესახებ ბ-ნ ჩიჩერინის მხრივ, სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, უზრდელობაა საბჭოთა რუსეთის დღევანდელ მოკავშირეებისა, რომლებთანაც ბოლშევიკურ მთავრობას ნამდვილი ბლოკი აქვს შეკრული და რომლებთანაც ერთად აწარმოებს იგი მთელს თავის პოლიტიკას აღმოსავლეთში და ამიერ-კავკასიაში. გაბედოს ბ-მა ჩიჩერინმა ამ ფაქტის უარყოფა!

დიახ, ბ. ჩიჩერინის საგიტაციო ფურცლები, რომლებიც მან „უმაკურად" შემოგვიპარა „ნოტების" სახით, ჩვენთვის არ არის საშიში. ვცდება ის ჭორი, ცილისწამება, ფაქტის გადამახინჯება, რითაც „ნოტის" ავტორი ცდილობს ჩვენს რესპუბლიკას ხალხი გაუტეხოს ხალხის თვალში, ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში და ვერ მიაღწევს თავის მიზანს. ხაზგასმით, ის სიმართლე, ის ნამდვილი ამბები, ის „საქმენი საგმირონი", რომლებსაც ჩვენი ხალხი გაიხსენებს ბ. ჩიჩერინის „ნოტის" საშუალებით, ისე მოახერხებენ ბოლშევიკურ რუსეთის ხელისუფლებისთვის, რომ მათი გახსენება ჩვენთვის სრულიად ზედმეტია. ფაქტები არ [illegible] მიაყენებს, რასაც მას მიაყენებს საკუთარი [illegible].

## ისევ ბათუმზე.

ბათუმის ქალაქის არჩევნებში გამარჯვება ჯერ კიდევ არაა საესებით დაფასებული და გამოქვეყნებული ჩვენ მიერ. ამ არჩევნებს თითქოს არ ეძლეოდა ის დიდი მნიშვნელობა ბათუმის ბედის გადაწყვეტაში, რომელიც მას ნამდვილად ეკუთვნოდა. დღეს ყველასათვის ცხადია თუ რა დიდი გავლენა იქონია ამ გამარჯვებამ ბათუმის, როგორც პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ისე მის შინაურ ურთიერთობაზე. არჩევნების მერმე [illegible] შეიცვალა იქ გამეფებული განწყობილება, და შეცვალა ჩვენდა სასარგებლოდ ამ ცვლილებამ კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი ჯარების მიერ ოლქში ზოგიერთი პუნქტების დაჭერა. ეს გარემოება [illegible] მოვლენისათვის. ამ მოვლენების პირველი [illegible] მეტად [illegible] ქალაქის გამგეობის [illegible] და მთელ საქმეს საერთოდ!

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ქალაქის გამგეობა ეს ის ცენტრი იქნება, რომლის გარშემო თავს მოიყრის არა მარტოდ მუნიციპალური საქმეები, არამედ პოლიტიკურიც, არა მხოლოდ ქალაქში, არამედ ოლქშიაც. ამიტომ გამგეობის შემადგენლობას, მის სიქმიანობას, უნარს, წინდახედულებას და ტაქტს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ბათუმის საკითხის მოწესრიგებაში. ქალაქის საბჭოს ახლადა შემადგენლობამ კარგად უნდა გაითვალისწინოს თავისი მძიმე მოვალეობა და ქალაქის მართვა-გამგეობა ჩააბაროს ისეთ პირებს, რომლებიც შესძლებენ დასძლიონ ის უამრავი დაბრკოლებანი, რომელიც მის სავალ გზაზე შეიძლება შეხვდეს და ხელმძღვანელობაც აღმოაჩინონ. ყოველ შემთხვევაში, კი, თუ ჯაშუშური მოსაზრებამ ამ შემთხვევაში უარყოფილ უნდა იქნას და მისი ადგილი უნდა დაიჭიროს საერთო ინტერესებმა. ამ ინტერესების შეგნება, მისი ცხოვრებაში გატარება და საამისო უნარი და გამოცდილება—აი რა უნდა იყოს ერთადერთი საზომი და სახელმძღვანელო გამგეობის არჩევისათ.

ბათუმის არჩევნებში ჩვენმა გამარჯვებამ იმედიანი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ზოგიერთი წრეები არ ზოგავენ არც ფულს, არც ხარჯს, რომ რაიმე საშუალებით ეს შთაბეჭდილება გააქარწყლონ ევროპის თვალში. ამ მიზნით, როგორც გვატყობინებენ, განზრახული ქალაქში საერთო აღწერის მოხდენა. აღწერას მალე დაიწყებენ, მისი [illegible] დაუმტკიცონ ყველას, რომ ბათუმის ქალაქის მცხოვრებთა შორის ქართველებს არც ისეთი ადგილი უჭირავთ, რომ იქ სხვა ეროვნების მცხოვრებნი ბევრათ სჭარბობენ და ამიტომ მათთვის სასარგებლო და ჩვენთვის სავნებო დასკვნა გამოიყვანონ. ამ გარემოებას, როგორც ახალმა საბჭომ, ისე იქაურმა ხელმძღვანელმა წრეებმა საკმაოდ ანგარიში უნდა გაუწიონ და ქართველური დაინტერესებით აღწერის გარეშე არ დარჩნენ.

რაკი მიზანი აღწერის ასეთია, ცხადია, საშუალებაც მისი შესაფერი იქნება. ეს და სხვა ბევრი მწვავე საკითხები ბათუმის ცხოვრებისა ავალებს იქაურ ხელმძღვანელ წრეებს, მეტ სიფხიზლეს, მეტ გამჭრიახობას, მეტ ენერგიას.

საქართველო ურთიერთთა წარმოუდგენელია. ბათუმის საკითხის გადაჭრაში კი დიდი როლის თამაში შეუძლია იქაურ წრეებს და რესპუბლიკას უფლება აქვს მოითხოვოს მათ მაქსიმუმი იმის, რის მოცემაც კი მათ ძალა და ენერგიას შეუძლიათ.

გ. ნ-ი.

## პრესა

ერევნის გაზ. „ჟოღოვურდ"—№ 32 (სომეხთა სახალხო პარტიის ორგანო) ბათუმის შესახებ სხვათა შორის სწერს:

„დადგა დრო, როცა უნდა გადაწყდეს ის საკითხი, თუ ვის უნდა მიეცეს ქ. ბათუმი, როგორც ნავსადგური. ამ ბოლო დროს მოამბეთა დემოკრატიული არჩევნები გვიჩვენებენ, რომ ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობის მიერ თავისი ხმა ქართველთა გროვებულ ხმას და ამიტომ ხალხის ცნობილი განწყობილი ნება არ შეუძლია ხაზგასმით კონკურსში მნიშვნელობაში არ მოიღოს. მაგრამ ბათუმს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებისათვის და ამიტომ არის, რომ ძალიან გამწვავდა პოლემიკა აზერბაიჯანის და საქართველოს პრესას შორის ბათუმის ძალიან საკითხზე აზერბაიჯანისთვის და რომ ბაქოს ნავთის დაუბრკოლებლად შეეძლოს გატანა, აზერბაიჯანს სჭირს ბათუმი პორტო-ფრანკოდ იქცეს. ამას ემატება პოლიტიკური მოსაზრებებიც. აზერბაიჯანი არ ურიგდება იმ აზრს, რომ ბათუმის მუსულმანური მოსახლეობა მოექცეს ქრისტიან სახელმწიფოს ხელში და ამით მანათობელი პროგრამა განხორციელებული დარჩეს.

ძნელი ვსთქვათ, როგორი უნდა იყოს სომხების დამოკიდებულება ბათუმის საკითხისადმი.

ჩვენ გვგონია, რომ ბათუმი თავისი მდებარეობით უფრო მალე უნდა გადაეცეს საქართველოს, ვიდრე ვინმეს სხვადასხვა პოლიტიკური აგენტურების სახით.

ბათუმის ოლქი მჭიდროთ დაკავშირებულია ყარსის ოლქთან.

ყველაფ ბათუმი არ მიეცა საქართველოს, „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის" აგენტები ახალი ენერგიით დაიწყებენ მოქმედებას ჩვენს ყარსის და არდაგანის ოლქების წინააღმდეგად. ეს ისეთი გარემოებაა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს ხასიათდება მაზედ ჩაცემს.

ბათუმის საქართველოზე გადაცემით სომხების ეკონომიური ინტერესები კი შეიძლება უზრუნველ იქნას განსაკუთრებული ხელშეკრულობით.

გარდა ამისა, შეერთებულ ხაზებით ექნება სხვა თავისი საკუთარი ნავსადგურებიც, მაშასადამე, მაშინ ბათუმი დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას ჩვენთვის.

ყოველ შემთხვევაში, ამავე მეთაურს გაზეთი, არ არის მიუღებელი, რომ არსებობდეს საქართველოს, სომხეთის და შავი ზღვის შორის მაგისტრალური, თუნდ პატარა სახელმწიფო".

## ბათუმის ოლქში

ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილისაგან რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ კუკ-კოლიხი დადის აჭარის სოფლებში, აშინებს ხალხს და ჰკრებს ხმებს, რომ აჭარა არ შეუერთდეს საქართველოს. მე ვამტკიცებ, რომ მცხოვრებლებს სულით და გულით სურთ საქართველოს ჯარების მისვლა „უცხოელებ პროვოკატორის ხსნით თავისუფლების წინაშეობ"."

## წერილი ქობულეთიდან

ბათუმის ქალაქის არჩევნებში გამარჯვებამ, ოლქის ზოგიერთი პუნქტების ჩვენი ჯარების მიერ დაჭერამ, თვითონ ბათუმის საკითხის ჩვენ სასარგებლოდ შემობრუნებამ, ფეხზე დააყენა ყველა ჩვენი მტრები და ინგლისის სარდლობასთან ერთად ყოველგვარ საშუალებას

ხმარობენ აჭარლები საქართველოს წინააღმდეგ ამბობენ, რომ უარყონ მათ საქართველოს უფლებები.

ყველაზე მეტად ფაცურობენ აზერბაიჯანის აგენტები. ამ დღეებში აზერბაიჯანის მთავრობამ განუცხადა ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში—თითქოს მას არავითარი პრეტენზიები არ აქვს ბათუმში და მის ოლქში. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს იყო მხოლოდ გარეგნული განცხადება, რომ მიეძინებინა ქართველების ყურადღება. რომ ეს ასეა, ამტკიცებს მათი აგენტების მოქმედება, რომლებიც დადიან აჭარის სოფლებში, აძლევენ ფულს და გამოაქვთ საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციები. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ აზერბაიჯანის აგენტების განკარგულებაში არის მილიონები, რომლებიც ასე უხვად იხარჯება მათ მიერ აგიტაციაზე. ვიცით დანამდვილებით ისიც, რომ გენერალ ქუკ-კოლისთან ხშირად იმართება თათბირი, რომელსაც ესწრებიან აზერბაიჯანიდან სპეციალურად ამ მიზნისათვის ჩამოსული თათრები. ყოველივე ეს ხდება ინგლისის სარდლობის თვალწინ, რაც საბუთს აძლევს ხალხს იფიქროს, რომ აზერბაიჯანის აგენტების მუშაობას მხარს უჭერს და ეხმარება ინგლისის სარდლობა. ამბობენ იმასაც, რომ ინგლისის ფულიც ბლომად იხარჯება, რომ როგორმე ხალხის [illegible] საქართველოსადმი შეიცვალოს. ყოველივე ეს [illegible] ხალხში იწვევს [illegible].

თუ რამდენათ თავხედად იქცევიან აზერბაიჯანის აგენტები, სჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქობულეთში.

ამ დღეებში ქობულეთში, სრულიად მოულოდნელათ მოიყარეს ხალხს თავი, რომელსაც დაესწრო 250 კაცი და მიაღებინეს შემდეგი რეზოლუცია:

1) ჩვენ უნდა განვახორციელოთ ცხოვრებაში ვილსონის პრინციპები მინიჭებულ თვითგამორკვევის უფლება, რაც უზრუნველჰყოფს ჩვენ მოდგმას ჩვენი სურვილის თანახმად ბრესტ-ლიტოვსკში.

2) ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ საქართველოს მთავრობის მიმართ, რომელიც თავის პრეტენზიებს აცხადებს ქ. ბათუმზე და ბათუმის ოლქზე და ცდილობს ბათუმი და მისი ოლქი ხალხის სურვილის წინააღმდეგ შეიერთოს.

3) ჩვენი ხალხის უმრავლესობის [illegible], რათა შევქმნათ ჩვენი ოლქისაგან სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ავტონომია, რომელშიაც შევა ქ. ბათუმიც. ამით ჩვენ ვწყვეტთ ყოველგვარ კავშირს იმ ქვეყნებთან, რომლებიც ცდილობენ ჩვენი ოლქის ანექსიას.

4) თუ დღემდის რამე რეზოლუცია არის მიღებული ბათუმის და მისი ოლქის შესახებ, ჩვენ უარს ვაცხადებთ ამ რეზოლუციაზე, რადგან ისინი არ ყოფილან მიღებული ხალხის სურვილისამებრ.

5) ჩვენ ვაცხადებთ, რომ ბათუმის და მისი ოლქის მცხოვრებთა შორის უნდა მოხდეს არჩევნები და არჩეულ იქნან ჩვენი ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც იქნებიან აჭარის პარლამენტის წევრები.

6) ასლები ამ გადაწყვეტილებისა უნდა გადაეცეს ბათუმის ოლქის გენერალ გუბერნატორს, ყველა სახელმწიფოების მთავრობებს და ევროპის საზავო კონფერენციას".

ეს რეზოლუცია ცხადყოფს, თუ რა მუშაობას აწარმოებენ საქართველოს მტრები. აჭარის ხალხის უდიდესი ნაწილი არ თანაუგრძნობს ასეთ რეზოლუციებს, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ყოველივე ეს ხდება ხალხის სახელით.

რომ ინგლისის სარდლობას სურდეს, რასაკვირველია, ერთ დღეს აღიკვეთებოდა ეს შავი აგიტაცია და სხვადასხვა აგენტების თარეში [illegible].

ამ გვარმა აგენტურამ და ოლქის ხელოვნურმა აფორიაქებამ გააჩინა აქა-იქ მიმალული ჩეტნიკები. ამ დღეებში ისინი თავს დაესხნენ [illegible] მიმავალ მგზავრებს [illegible] შუა. გაძარცვეს მგზავრები, წაართვეს [illegible] მძიმედ დაჭრეს [illegible]—სოფელი.

ასე იქცევიან საქართველოს მტრები, ასეთია შედეგი მათი შავი მუშაობისა.

განაწამებ აჭარის ხალხს უნდათ მოსწყვიტონ ხელოვნურად მის თანამოძმე ქრისტიან საქართველოს, შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ ერთხელ კიდევ დაღვარონ საბრალო ხალხის სისხლი.

საჭიროა აჭარის შეგნებულმა ნაწილმა ყურადღება მიაქციოს ამ ხიფათიან აგიტაციას და მშვიდობიანი აჭარლების სურვილი საქართველოსთან შეერთებისა არ ჩაიხშოს [illegible].

დანამდვილებით ვიცით, რომ ასეთი რეზოლუციების გამომტანები ეს შავი აგიტატორები სხვა სოფლებსაც [illegible] და ხალხს ატყუებენ.

თუ ინგლისის სარდლობა პირადათ არაა დაინტერესებული ყველა ამაში, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის ზომებს მიიღებს ამ თავაშვებული აგენტების ასალაგმავათ.

ამისათვის არც ისე დიდი ზომებია საჭირო, საჭიროა მხოლოდ სურვილი.

ქობულეთელი.

## ბათუმის გარშემო

(საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან).

საქართველოს საგარეო სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აქვეყნებს ყველა იმ ცნობებს, რომელიც სამინისტრომ მიიღო ბათუმის შესახებ:

1.

მის აღმატებულებას ევ. გეგეჭკორს, საგარეო საქმეთა მინისტრს. თფილისი, 29 თებერვალი 1920 წ. № 52.

თქვენო აღმატებულებავ, მის უდიდებულესობის სტატს სეკრეტარმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, მთხოვა, რომ უმაღლეს საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ ბათუმის ოკუპაცია დაევალება გარნიზონს, შედგენილს ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის ჯარის ნაწილებისაგან. მიიღეთ და სხვა... უორდროპი.

2.

იტალიის სამხედრო მისია ამიერ-კავკასიაში. ტფილისი, 5 მარტი 1920 წ. № 2134

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. თფილისი.

თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი დეპეშა დღეს კონსტანტინოპოლიდან მიღებული საქართველოს წარმომადგენლისაგან იტალიის უმაღლეს კომისრის შუამავლობით: გეგეჭკორს საგარეო საქმეთა მინისტრს. პირველ მარტს ვნახე მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი კომისარი. გადაწყვეტილია დაიჭირონ ბათუმი სამის მოკავშირეთანით: საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიისა. ქალაქი და (გამოტოვებულია) იქნება ერთა ლიგის ზედამხედველობაში. სწარმოებს მუშაობა ოსმალეთის საზღვრების საკითხის წინასწარ გადაწყვეტის შესახებ. ბათუმის შესახებ უკანასკნელი დასკვნა მოხდება იმავე დროს, როდესაც რუსეთის საკითხი გადაწყდება. მიიღეთ და სხვა... გენერალური შტაბის პოლკოვნიკი მაქელი.

3.

იტალიის სამხედრო მისია. № 2449. თფილისი, 9 მარტი, 1920 წ.

მის აღმატებულებას ბატონ გეგეჭკორს, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. ბ-ნო მინისტრო, დამატებით და დასადასტურებლად ამ თვის შვიდის ჩვენის საუბრისა მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ეს არის ცნობა მიღებული იტალიის სამეფო მთავრობისაგან, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ლონდონის კონფერენციაზე გადაწყდა შეიქმნას ბრიტანო-ფრანკო ბათუმში მცირე ტერიტორიალური ზონით, ერთა ლიგის მეურვეობის ქვეშ. გარანტიის მიზნით საფრანგეთი, იტალია და ინგლისი გაგზავნიან ქვეითი ჯარის თითო ბატალიონს". ამასთანავე ვასწრობ გაცნობოთ, რომ მე რადიოთი გადავეცი ჩემს მთავრობას თქვენი ნოტების შინაარსი, ამა თვის 6 თარიღით №№ 1856 და 1862. მიიღეთ და სხვა... მისიის უფროსი პოლკოვნიკი გაბბა.

4.

საფრანგეთის სამხედრო მისია კავკასიაში. თფილისი, 16 მარტი 1920 წ.

თანახმად უმაღლეს საბჭოს თებერვლის 24 ს დადგენილებისა ბათუმის პორტი გამოცხადებულია თავისუფალ პორტად, ქალაქი და მისი გარშემო მცირე ზონა შეადგენს პატარა სახელმწიფოს ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ და დაცული იქნება ინტერ-ნაციონალური რაზმით, რომელიც შესდგება სამის მთავარი დერჟავისაგან: ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიისა. საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი კავკასიაში, დე ნონანკური.

## გერმანიაში

(ბოლშევიკების ცნობებიდან)

ლიონი, 13 მარ. ბერლინში მონარქიული სამხედრო გადატრიალება მოხდა. რეიხის დივიზია, რომელიც ბერლინიდან 20 ვერსზე იდგა, სატახტო ქალაქში შევიდა. ღამის განმავლობაში ჯარების სარდლებს მოლაპარაკება ჰქონდათ შეიდემანის მთავრობასთან, მაგრამ მინისტრთა საბჭომ დაადგინა ყველა მათი მოთხოვნილება უარ ეყო. ჯარებმა დაიკავეს მთავრობის შენობები და გაზ. „ფორვერტსის" რედ. გამოუშვეს პროკლამაცია მთავრობის ჩამოგდებისა, რეიხსტაგისა და დამფუძნებელი კრების გაშვებისა, ძალა უფლების კაპპისა და ფონ ლიუტვიცის ხელში გადასვლის შესახებ. კაპპმა ამირჩია ფონ ტირპიცთან ერთად დაარსა სამშობლოს პარტია. მან ეხლა სახელმწიფო კანცლერისა და პრუსიის პრემიერის სახელწოდება მიიღო. გენერალი ფონ-ლიუტვიცი ჯარების მთავარსარდალია. ებერტმა და ნოსკემ თავისი მთავრობის სახელით გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიც ისინი მშრომელთ წინადადებას აძლევენ მათ ამ გადატრიალებას საყოველთაო გაფიცვით უპასუხონ. აქამდის არავითარი ცნობა არ მიგვიღია არეულობის შესახებ და არ ვიცით ეს მოძრაობა გადავიდა, თუ არა პროვინციაში.

ბერლინი. 14 მარ. ბაუერის მთავრობა პრეზიდენტისა და რეიხს კანცლერთან ერთად ბერლინიდან დრეზდენში გადავიდა. ბერლინის მცხოვრებნი ამ გადატრიალებას სრული სიმშვიდით შეხვდნენ, ქუჩის ცხოვრება ნორმალურია, ქარხნებში მუშაობა გრძელდება. ახალმა მთავრობამ გამოსცა პროკლამაცია, სადაც იგი თავის თავს „თავისუფლებისა და წესრიგის პარტიას" უწოდებს და პირობას იძლევა ვერსალის საზავო ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების შესახებ. ახალი მთავრობა კატეგორიულად უარყოფს მონარქიის აღდგენას, ან ერთ პიროვნულ დიქტატორის დამყარების სურვილს. ნახევრად ოფიციალურ განცხადებაში ახალი მთავრობა ყველა მშრომელს პირდება, რომ იგი უზრუნველჰყოფს მათ მონაწილეობას ქვეყნის მართვა გამგეობის საქმეში, ახალი მთავრობა აცხადებს არსებული რესპუბლიკანური კონსტიტუციის თანახმად მოხდება სახალხო წარმომადგენლების ახალი არჩევნები. უმეტესობის სოციალისტების [illegible] და ყველა პარტიის პრეზიდიუმის წევრებმა, რომლებიც ძველ კოალიციურ მთავრობაში შედიოდნენ, ხალხს პროკლამაციით მიმართეს. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ როგორც ბერლინის მცხოვრებლებში, აგრეთვე ჯარებში სრული მშვიდობიანობა არსებობს. ცნობები მოდის მაგდებურგში დაწყებული საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

დოქტორმა კაპპმა საუბარში განაცხადა: ახალმა მთავრობამ იცის, რომ მუშების უმეტესობა შესაძლებელია ოპოზიციაში ჩაუდგეს. მთავრობამ განაცხადა, რომ იგი სათავეშივე სასტიკად ჩაახშობს მუშათა ყოველგვარ გამოსვლებს და თუ მუშებმა ძალას მიმართეს, მაშინ მათ წაართმევენ იმ უფლებასაც, რომელიც ამ ცოტა ხანში მიიღეს. ბერლინის ყველა სახლზე შავ-თეთრ წითელი დროშები ფრიალებს.

ახალი მთავრობის სამყოფი ადგილი მავთულის ხლართით არის შემოღობილი.

კარნაფონი. 14 მარტი. მოკავშირეთა მთავრობა გერმანიის ამბებს ყურადღებით ეპყრობა. უმაღლესი საბჭო ზომებს ამზადებს, წინდაწინ გაუთვალისწინებელ მოსალოდნელ შემთხვევისათვის, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ხელშეკრულების პირობის ასრულებაზე. მარშალ ფოშმა დააჩქარა თავის საინსპექტორო მგზავრობა გერმანიის საოკუპაციო ოლქებში. ძლიერ ყურადღებით იხილავენ ექს კაიზერის საკითხს. ფიქრობენ, რომ აუცილებელია მისი [illegible] გაძლიერება, რადგან მისი გაქცევა და ბერლინში გამოცხადება უფრო გაართულებს საქმეს.

კოპენჰაგენი. 14 მარტი. ჰამბურგიდან ცნობები მოვიდა, გერმანიის მდგომარეობის შესახებ. ვეიმარში მუშები შეიარაღდნენ და დაიკავეს მთავრობის დაწესებულებები, მაგრამ [illegible]. ბრაუნშვეიგში, კენიგსბერგში ჯარს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია ახალი მთავრობისადმი დამოკიდებულება. შტეტინში საერთო გაფიცვაა გამოცხადებული. ვესტფალიაში ძალა-უფლება სამხედრო პირთა ხელშია. რურის ოლქში სამთო მუშების უმეტესობა გაფიცულია. ვიურტემბერგში ჯარი ახალი მთავრობის მხარეზეა. ყველგან მცირე შეტაკება ხდება.

კონტრ-რევოლუციონური მთავრობა, რომელმაც ბერლინში ძალა უფლება ხელში ჩაიგდო, ყველას არწმუნებს, რომ ის მონარქისტული არ არის. ახალი მთავრობა მუშათა პარტიის მიერ მხარის დაჭერას ეძებს. მაგრამ მუშები ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ. პროვინციიდან მოსული ცნობით სხვა ქალაქებში კონტრ რევოლუციონური მოძრაობას მხოლოდ ჯარი ემხრობა. მთელი რეინის ოლქი და ვესტფალიის მუშები ბერლინის გადატრიალებას უარყოფითად შეხვდნენ. მრავალ ქალაქში საერთო გაფიცვები გამოაცხადეს. ბერლინში მრავალი ქარხანა გაიფიცა: [illegible]ში, ბერლინში და [illegible] შეტაკება მოხდა [illegible] მის მომხრეთა [illegible] გერმანიის ამბებს ყურადღებით ადევნებენ თვალს.—მათ გადასწყვიტეს, რომ ყოფილ მეფის ვილჰელმის თავდაცვა გააძლიერონ. მოკავშირეებს ეშინიათ, რომ ის ბერლინში არ გაიქცეს, სადაც მისი გამოცხადება მდგომარეობას უფრო გაართულებს. გერმანიის მუშები აღელვებული არიან მონარქიული ავანტიურის ასეთი [illegible]. რეინის მთელ ოლქში, ვესტფალიის სამრეწველო ოლქში უკვე საერთო გაფიცვები დაიწყო. ფრანკფურტში, ნიურნბერგში, ბრესლავში და ბერლინში უკვე გაიფიცა მრავალი ქარხანა. გაფიცულნი არიან წყალსადენის და ელექტრონის სადგურის მუშები. ბერლინის რკინის გზის მუშაობა შეწყდა. მოელიან მესტამბეთა გაფიცვას. სამხრეთ—გერმანიიდან მოსული ცნობით იქ ახალი მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოხდა.

კარნაფონი 14 მარტი ახალი მთავრობა ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, თითქო ის არც რეაქციონური და არც მონარქიულია. ის აცხადებს, რომ მზათ არის შეასრულოს ვერსალის ხელშეკრულება, მაგრამ ის გარემოება, რომ კანცლერად და მთავრობის მეთაურად არის ცნობილი პანგერმანისტი დ-რი ფონ კაპპი, თავდაცვის მინისტრად ცნობილი მონარქისტი გენერალი ფონ-ლიუტვიცი. დამახასიათებელია იმისა, რომ ახალი მოძრაობა ნამდვილი რეაქციონური და მონარქიულია.

კარნაფონი. 12 მარტი. ბავარიის, ვიურტემბერგის, საქსონიის და ბადენის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს კონტრ-რევოლუციის საწინააღმდეგოთ. ძველი მთავრობის სამხედრო მინისტრი ნოსკე საქსონიის ჯარის სათავეში ჩადგა.

(ფრანგული ცნობებიდან)

ლიონი. 15 მარ. ბერლინში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ბალტიის ყოფილმა ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა ქალაქი დაიკავეს. მოძრაობის სათავეში ჩადგნენ ფონ კაპ და გენერალი ფონ ლიუტვიცი, ცნობილი პანგერმანისტები. ებერტის მთავრობა გაიქცა დრეზდენში, სადაც საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. „პტი ჟურნალი" ათავსებს კობლენცში მყოფი მისი საგანგებო კორესპონდენტის წერილს, სადაც აწერილია ის შთაბეჭდილება, რომელიც მოკავშირეთა ჯარების მიერ დაკავებული რეინის პროვინციებში გერმანიაში მომხდარმა გადატრიალებამ მოახდინა ტრირსა და კელნში სოციალისტების მანიფესტაციებით, სწერს იგი: კელნში საერთო გაფიცვას ორშაბათიდან ელიან მოკავშირეთა უმაღლეს კომისარს ბ. პოლ ტირარს შაბათ დილით მოლაპარაკება ჰქონდა დიდი ბრიტანეთის, შეერთებულ შტატებისა და ბელგიის კო-

## სალიტერატურო შენიშვნები

1. პარნასი.
2. თეთრეული.
3. შვილდოსანი № 1, 2—3.

„მოშაირე არა ჰქვიან, [illegible] გრძელსა":

ასე ჰფიქრობდა შოთა და ამ აზრს იზიარებდა სიტყვა კაზმული მწერლობა [illegible] დიდხანს.

ფეოდალურ ხანაში ცხოვრება მარტივი იყო და ნელი. ის ნელ-ნელა მიმდინარეობდა და კაცობრიობა არხეინად [illegible].

გრძელი რომანები და პოემები ამ ხანას საუცხოოთ შეეხამებოდა.

დღეს კი ელექტრონის ორთქლისა და მანქანების ხანაა. მთელი კაცობრიობა სადღაც მიისწრაფის, ყველას ეჩქარება. ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ.

ახალ ხანაში ვის სცალია, ვისა აქვს იმდენი დრო, რომ მრავალ ტომიან რომანებსა და დიდ პოემებს ჩაუჯდეს.

ამიტომაც სიტყვა კაზმულ მწერლობაში თანდათან იჩენს თავს ქონდრისკაცობა.

თუ წინათ კარგი მოშაირე მხოლოდ ის იყო, ვინც გრძელ ნაწარმოებს დასწერდა, დღეს კარგი მოშაირე მხოლოდ ის არის, ვინც მოკლე ნაწარმოებს აწვდის მკითხველს.

დღევანდელ ხანას მინიატიურა შეეფერება.

ჩვენს ბაზარზე თანდათან ვრცელდება არა თუ პატარა ზომის ნაწარმოებები, პატარა ჟურნალებიც — რამდენიმე ფურცლიანი.

კარგია ეს თუ ცუდი ამის განხილვაში ჩვენ ამ ჟამათ არ შევუდგებით—ჩვენ მხოლოდ მოვიყვანთ [illegible].

„პარნასის" პირველ გვერდზე მოთავსებულია „[illegible]" ი. მჭედლიშვილისა.

მჭედლიშვილი ჩვენში ცნობილი პოეტია. წრფელი გრძნობა და უშუალობა მის ლექსს თან ახლავს, მაგრამ როგორც ახალგაზრდის, [illegible] ხშირათ ეტყობა.

აქ დასაძრახისი არაფერია; ყოველგვარს [illegible] უყვარსო, ნათქვამია. და თუ კი კარგს შეითვისებს ერთი მეორისაგან, ამას რა სჯობია. ცუდი ის არის, რომ ხშირათ ცუდს სესხულობენ და ქვეყანას კი ყურებს უჭედავენ ყვირილით: ერთი ნახეთ, რა საკვირველია.

„იისთვალები" გრიშაშვილის „რა კარგი ხარ, რა კარგიო". იგივე რითმი, იგივე მეტრი, იგივე მუსიკა.

ია [illegible].

მჭედლიშვილი.

მშვენიერო, ლამაზო, ნაზო, იისთვალება.

გრიშაშვილი.

რა კარგი ხარ, რა კარგი, კოხტა ზღვისფერ თვალება.

არჩილ მაჩაბერიანის „უმანკო მსხვერპლ"-ში კარგი თემაა აღებული, მაგრამ შემოქმედება სუსტია, ის უფრო ამბავს მოგვცემს ვიდრე მოკლედ შემოხაზულ ნახატს.

ჯანელიძის „სამშობლოში" არის მუსიკალური ჰარმონია, მაგრამ ის ცივია; სხვანი ლექსისა კი მეტ სითბოს მოითხოვს.

პარნაველის „განწირებული სული" მოგვაგონებს წერილის [illegible]. შიგ არის ერთგვარი განცდა და გრძნობით თამაშობა.

რატიშვილის „თებერვალში" არის პოეტური სახე, ნაღდი თავისებური შემოქმედება სუსტია.

ძიძიგურის „აქ სად მიხვალ" ძველი თემაა, გრძნობით დაწერილი. მეტრი და მუსიკა თვითონ ლექსის საგრძნობით არ შეეფერება, რის გამოც შთაბეჭდილება უფრო სუსტდება.

ყოველ ლექსს აქვს თავისი მუსიკა; ყოველი აზრი ითხოვს შესაფერ მელოდიას; ყოველ გრძნობას ლექსში [illegible] თავისი მეტრი და რითმი.

რუსიშვილის „ქუნისთან" მშვენიერი თემაა, მაგრამ ეფექტური ვერ მოგვცა მან.

აბულაძის „მოდებაში" არის პოეტური სახე და პოეტის განცდის შესაფერისი რითმი, მეტრი და მუსიკა, რაც უტყუარ ნიჭს ამჟღავნებს.

chale Romie-ს „ძველის ფლეიტა" საუცხოვო ლექსია და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მუსიკის, განცდის, აზრისა და გრძნობათა შორის საუცხოო ჰარმონიით.

მელანიძის „თეთრ ღელეში" მიბაძვაა გრიშაშვილისა. რითმაც კი ნასესხები აქვს ზოგი; მაგალ. [illegible]. შალვა გომართელის „სიყვარულის მსხვერპლი" მოხდენილი ნაწყვეტია საკმაო გრძნობით და ტემპერამენტით დაწერილი.

გურგენიძის „სილუეტები" მხატვრულად არის დაწერილი. ავტორს აქვს თავისებური სტილი.

დ. ა.—ს ოსკარ უაილდის თარგმანი შესაფერის ენით და სტილით არის დაწერილი. ამ დიდ ხელოვანს და დიდ მხატვარს სიტყვისა ჩვენში ნაკლებათ იცნობენ საზოგადოთ და ყოველ იმის ნაწარმოებს ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გ—ი—ს „შემოქმედების მწვერვალი" ჯერ შეუცვლელია და ვერას ვიტყვით იმის მეტს, რომ ერთობ აჭრელებულია უცხო სიტყვებით, რასაც ჩვენში ყოველი მწერალი უნდა ერიდოს.

„თეთრეულ"-ში ჩვენ გვხვდება რამოდენიმე სახელი, რომლებიც პარნასში გავიცანით.

რატიშვილის თეთრეული ნაძალადევია. „ძალდაც ჰყვებოდიან" ხომ ისეთი ქართულია, რომ საყვარელ ცოლს შეგაძულებს, არა თუ [illegible] ლექსს.

ჯავახიშვილის „ფიქრთა ნაკადში" არის პოეტური სახე, მაგრამ ალაგ-ალაგ ნაძალადევია. „ცვილიც იზრდებიან" და „[illegible]" შეუწყნარებელი ქართულია.

გრიშაშვილის მინიატიურები ლამაზია, გრძნობის სიწრფელე, სისადავე და თავისებური სტილი ავტორს ახასიათებს. [illegible] „[illegible] კვნესა" [illegible]; მხატვრულად კი არის დაწერილი და ბოლოში [illegible] პოეზია.

ა. შ—ს ბალი გრძნობით დაწერილია და ავტორის განცდა ლამაზ მხატვრულ სახეშია ჩამოსხმული.

გრიშა თუთა—ს თამამათ შეუძლია, თქვას [illegible], როცა შემოვა, და ამისთანა ლექსების წერაზე კი, როგორიცაა მას „თეთრეულ"-ში მოუთავსებია, ხელი აიღოს.

ჯავახიშვილის ტრიოლეტები შესაფერის ტემპერამენტით არის დაწერილი. „თებერვალის" ბოლოში ის გაცილებით უკეთესია, ვიდრე დასაწყისში. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ „მარტში" ის მისაღები პოეტი იქნება.

რატიშვილის უკანასკნელ ლექსებში პოეტური სახეებია მარტივად და მხატვრულად შემოხაზული.

„შვილდოსანი" № 1 იწყება გრიგოლ რობაქიძის ლექსით.

ლექსში საუცხოვო რითმია, მეტრი, თავისებური ყალიბი წერისა, მაგრამ შიგ არ არის ცოცხალი ცეცხლი.

გრ. რობაქიძის ლექსი ბრინჯაოს ლექსიაო, იტყვის გაფრინდაშვილი.

მიზეზი აქ ბრინჯაო კი არ არის, არამედ სხვა რამ: გრ. რობაქიძე დიდი პოეტია, მაგრამ პროზის, ლექსისა კი არა.

მისი სტიქია სიტყვის ოქროპირობა და პროზის მოქანდაკეობა და არა ლექსი.

ტიციან ტაბიძის მღვდელი და მაღარო—ში არის ძლიერი პოეტური განცდა, ღრმა გრძნობა და მხატვრული სახეების თავისებური აგებულება; დედა-აზრი კი ჩემთვის სრულებით მიუღებელი.

„ჩემთვის სამშობლო სახელია მშრალი [illegible]",—ასეთი განცდა ჩემთვის მიუწვდომელია.

პაოლო იაშვილის ლექსი „[illegible]" აღმოსავლეთის ცეცხლით არის დაწერილი. მუსიკა, რითმი, რიტმი მეტრი, აზრი—ყველა საუცხოვოდ არის ერთმანეთთან შეხამებული და სიხალისე, გატაცება, თავდავიწყება, გრძნობა ერთი მეორეს ეჯიბრება და ეთამაშება.

პაოლო იაშვილი უტყუარი ნიჭია, მზის მწველი სხივებით მოქარგული. ერთი რამ არის საშიში: კაფე შანტანი [illegible] და მოჰკლავს მას, თუ ფრთხილად არ იქნა.

მას აღარ ემჩნევა ის განცვიფრება შემოქმედებისა, როგორიც გაფრინდაშვილს, თუმცა იაშვილს ყველაფერი უწყობს ხელს, რომ მისმა ცხოველმა ნიჭმა ფრთები გაშალოს.

კოლაუ ნადირაძის „საქართველოს მოგზაურობა" სუსტია, რადგანაც ნაძალადევია. ნაძალადევობა რითმებსაც ეტყობა: დღეებს—სიცხეებს; ქართულმა ენამ მხოლოდ სიცხე იცის, სიცხეები კი მარტო იმ [illegible] პოეტმა, რომლის შესახებაც შოთა სწერს: „რა [illegible] ქართულსა, [illegible] ლექსმან [illegible]".

ვალერიან გაფრინდაშვილის „საფერფლე" სიტყვის დიდ ხელოვანს ამჟღავნებს, დიდ ნაწილს მისი პოეტური სახეებისას, მის [illegible] სინაზესა და სიმახინჯის [illegible] მე ვერ გავიზიარებ, მაგრამ მისი რითმი, რიტმი, მუსიკა, გრძნობათა სიწრფელე და განცდათა სიღრმე, სიმდიდრე ფანტაზიისა და შემოქმედების [illegible] დიდი ნიჭისა.

დიდი პოეტისაგან კი ყველას შეუძლია მიიღოს ის, რაც მის რწმენას არ ეგუება.

რაჟდენ გვეტაძის „სასაფლაო და ყვავები" მკაფიოდ და ხელოვნურად შემოხაზული პოეტური სახეა, მაგრამ ეს დაწყევლილი „ხა" და ისიც უადგილო ალაგას [illegible], უშნო მეჭეჭია ლამაზ ლოყაზე.

შალვა აფხაიძის „ღვთისმშობელი" ნიჭიერი კალმით არის ნახატი, მაგრამ გრძნობის [illegible] „ო"-ს თავი უნდა გაანებოს.

ნიკოლოზ მიწიშვილის „დეკემბრის ბურანში" მისტიური განცდა პოეტურის სიცხოველით, სიცხადით და სილამაზით არის გამოქანდაკებული და შესაფერის მუსიკით ამღერებული.

ნიკო ლორთქიფანიძის „ჩრდილში" ამბავია და არა მხატვრული დამთავრებული სურათი.

დია ჩიანელის „[illegible]" ლამაზათ დაწერილი [illegible] ტრაღედია.

ტიციან ტაბიძის „[illegible] სებასტიანეში" ბევრი საგულისხმო აზრია, მაგრამ ცუდ დანალექს სტოვებს გულში გაზვიადებული თავის ქება და ყველა სხვა მიმართულების პოეტების მონათვლა—ზოგის კრეტინებათ, ზოგისა უზრდელებათ.

„გილიოტინა, რომელიც „ცისფერმა ყანწებმა" დაუდგეს წინა პოეტებს, ჯერაც ვერ ნახულობს მსხვერპლს, რადგან არავინ არ არის ღირსი თავის მოკვეთის", სწერს ის.

მე ვიცი, რომ გრ. რობაქიძე დიდ ნიჭს ჰხედავდა, თუნდაც გრიშაშვილში, სანამ მათ შორის შავმა კატამ არ გაირბინა. „ცისფერი ყანწები"-ს პირველ ფურცლებს გრიშაშვილი ამშვენებდა და სწორეთ შავი კატის შემდეგ გახდა ის უნიჭო.

პირადმა წყენამ თვალები არავის არ უნდა დაუბრმაოს.

გრიშაშვილის პოეზიაში არის ალაგ-ალაგ შანტანური ეროტიკა, მაგრამ განა ყანწელების პოეზიაში ცოტაა შანტანური ეროტიკა, [illegible] იდეალების [illegible], ძუძუების სრესა და სხვა?

„ცისფერმა ყანწებმა" მართლაც შეიტანეს ძალიან ბევრი რამ ახალი ჩვენს პოეზიაში, მათ ბევრი თანამოაზრენი და მიმდევარნი შეიძინეს, მაგრამ სხვების ბანაკშიაც იყო, არის და იქნება კიდევაც ძლიერი და თავისებური ნიჭი. ნიჭი მარტო ჩვენ ვართ და სხვები უნიჭონი,—ეს ახალგაზრდობის ლაღობაა.

ლაღობა კი ყოველთვის და ყველასათვის არ არის ღირსება.

ვალერიან გაფრინდაშვილის „რითმა და ასონანსი" შინაარსიანი გამოკვლევაა და ავტორის საფუძვლიან ცოდნას, დაკვირვებას, საგნის შესწავლასა და ერუდიციას ჰმოწმობს.

მინახავს, შუადღისას პაპანაქება სიცხეში [illegible], წაიგრძელებს კისერს და ხრინწიანი ტენორით [illegible]. შემდეგ ამაყათ მიიხედ-მოიხედავს და

მისწრაფიან. შემდეგ მან მიიღო რეინის პროვინციებში დანიშნული უმაღლესი კომისარი. შაბათს, შუადღისას ტირარი ავტომობილით გაემგზავრა მაინცში, სადაც იგი უნდა მოელაპარაკოს გენერალ დიუგოტს, რომელიც საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების სარდლათ ითვლება. „პტი ჟურნალი" ამას უმატებს: მოკავშირეთა მთავრობა არ ჩაერევა მოსალოდნელ მანიფესტაციებში, თუ კი მშვიდობიანობა არ იქნება დარღვეული. ყოველ გვარი გაფიცვა, საზოგადო სამსახურში პაიდის კონფერენციის თანხმით აკრძალული იქნება. მოძრაობა რკინის გზებზე, სამსახურები სხვა და სხვა ტრანსპორტში, განათებისა და წყალსადენის საქმეში და დაკრძალვა საჭიროების და მიხედვით სამხედრო კონტროლის ზედამხედველობის ქვეშ იქნება აღებული. სხვა ყველა დანარჩენში გერმანელებს სრული თავისუფლება ექნებათ მინიჭებული. პარიზში მყოფი გერმანიის რწმუნებული მაიერი კვირას შუადღისას მილიერანს სანახავად გაემგზავრა. მაიერმა, რომელიც პარიზში გაგზავნილი იყო, ეხლა დრეზდენში გაქცეულ ბაუერის მთავრობის მიერ, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს სთხოვა, რომ ბაუერის მთავრობა კვლავ ჩასთვალონ გერმანიის ერთად ერთ და კანონიერ მთავრობად. იგი სცდილობდა მილიერანის დარწმუნებას იმაში, რომ კანცლერ კაპპის რეაქციონური მოძრაობა ვერ გაიმარჯვებსო.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

16 მარტი.

## ბოლშევიკების ცნობები.

### შრომის ფრონტი.

**ხარკოვი.** 13 მარტი. დონის ოლქის შრომის არმიის მოქმედების ანგარიში ეკუთვნის 7 მარტამდე. ტრგიშჩევო—სერდობ-ბალაშოვ-ტურკის და შუკლინის სადგურების ხაზზე გაწმენდილია 149,000 და კიდევ გასწორებული 450 კვადრატული საჟენი გზა.

### აგიტაცია

**ვოლოგდა.** 12 მარტი. არხანგელსკში ყოფილ თეთრთა შორის დიდი სააგიტაციო მუშაობა სწარმოებს.

### მუშა მეწველეთა კურსები

**ხარკოვი.** 13 მარტი. იხსნება კურსები მუშა-მეწველეთა ინსტრუქტორების მოსამზადებლათ. ბოლოთ მოგელით.

### პურის განაწილება.

**ვიატკა.** 13 მარტი. [illegible] მაზრამ სავსებით შეძლო პურის განაწილება.

### მენშევიკების განცხადება.

მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია მენშევიკების ჯგუფის განცხადება, რომელიც მიმართულია მენშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტისადმი. განცხადებას ხელს აწერენ მენშევიკთა პარტიის ძველი აქტიური, გამოჩენილი პირები, მათ შორის ცენტრალურ კომიტეტის ყოფილი წევრები: იახონტოვი, ტროფიმოვი, მოსკოვის კომიტეტის ყოფილი წევრები დუბროვინსკისა, ფიშინსკი, კრასნიკოვი და მთელი რიგი პარტიულ მუშაკებისა. ყველა ხელის მომწერი აცხადებს პარტიიდან გამოსვლის შესახებ.

### სამხედრო ცნობა

პრისნენის რაიონში ჩვენმა არტილერიამ მტერი გაფანტა მდ. დასავლეთ დვინის მარცხენა ნაპირზე. ლეპელის რაიონში ჩვენმა ჯარმა 35 ვერ. დასავლეთის სოფლები აიღო და შეტევას განაგრძობს. ოვრუჩ კორისტენის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. ჟილინის ნოვგოროდის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პეროკოპის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ პეროკოპის ჩრდილოეთით პოზიციები აიღო. ეკატერინოდარის მიმ. ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს; აიღეს სად. და სტანიცა ნოვოდერეველკოვსკაია და სტანიცა ბრიუხოვეცკაია. ჩვენმა ჯარმა ჯარი სამხრეთისაკენ უკუ აგდო. ტიხორეცკაიას რაიონში და ყუბანზე ჩვენი შეტევა ვითარდება. ტიხორეცკაიას აღების დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 1 ვაგონი ყუმბარებით, 5 ცისტერნი ნავთი, 6 ცისტერნი მაზუთი და სხვა ქონება. სად. კავკაზკაიას სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები. პიატიგორსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 ვერსზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. სადგ. ეკატერინოვკაიას რაიონში სვიატოპოლის სამხრეთით 250 ვერსზე მტრის ნაწილები ჩვენ მხარეზე გადმოდიან.

### ნოვოროსიისკში

ნოვოროსიისკი. ქალაქი სავსეა გაქცეულ ბურჟუაზიით. ინგლისელებს, რომლებიც საზღვარ გარეთ გასვლის ნებართვას აძლევიან, ბურჟუები თავს აწევენ კისერზე. ყოფილი მემამულეები, თეთრგვარდიელები, ყველა კონტრ-რევოლუციონერები წასვლას იჩქარიან. ხმები ნოვოროსიისკში სერბიელთ, ჩეხოსლოვაკთა და ბულგარეთის ჯარის გადმოსხმის შესახებ არ გამართლდა. არავითარი უცხოელთა ჯარი დენიკინთან არ მიდის, პირიქით სამხედრო მისიები საზღვარ-გარეთ წავიდნენ.

### ამერიკა და პოლონეთი.

ამერიკელები ფიქრობენ პოლონელებს მთელი ის სამხედრო იარაღი გადასცენ, რომელიც ევროპაში იმპერიალისტური ომის შემდეგ დარჩა. ამით მათ სურთ გააძლიერონ პოლონეთი და დაიცვან დასავლეთი ევროპა ბოლშევიზმის შეჭრისაგან.

## უცნობ საიდუმლოდან.

(ინგლისურ ენაზე).

### პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ რადეკი ამ ქამათ იქ იმყოფება. კრემლში მისვლის დროს მან გრძელი სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის მხრით შემოტევის შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნა, რომ ყველა წლის ომის გამო აღმოსავლეთ ევროპაში ზავი უკან დაიხევს ერთი წლით. პირველ რიგში მან აღნიშნა ის მიზეზები, რომლითაც საბჭოთა რუსეთს არა აქვს და არც შეუძლიან ექნეს პოლონეთის მიმართ აგრესიული მიზნები. ის ამტკიცებს, თუ პოლონეთი არსებითად რომლითაც მნიშვნელოვანი იყო ძველი იმპერიალისტური რუსეთისათვის, რომელიც თავის პოლიტიკას ამყარებდა სტამბოლის აღების შესაძლებლობაზე. პოლონეთის მთავრობა რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრების შესაძლებელ გადაჭარბებების დამცველ საშუალებათ შეიქნა. პოლონეთის შენარჩუნების ასეთი სტრატეგიულმა პოლიტიკამ, თავისი არსებობა შეუწყვიტა. შემდეგ რევოლუციონური თვალსაზრისით პოლონეთზე შეტევა იქნება უდიდესი... ნაციონალური გრძნობის განვითარება. პოლიტიკური თვალსაზრისით არაფერი არ იქნებოდა იმაზე ცუდი, რომ კომუნისტური ტენდენციები პოლონეთში შეიარაღებული ძალით შეეტანიათ. რუსეთს სურს იცხოვროს მშვიდობიანათ და შეუდგა მშვიდობიანობის აღდგენას. ამის დამამტკიცებელია იმ ჯარის გარდაქმნა, რომელმაც დენიკინთან და კოლჩაკთან თავის სამხედრო მიზნებს მიაღწია. ამიტომ ჩვენ მოვამზადეთ და წინადადება მივეცით მეგობრული შეთანხმებისა. ჩვენ გვსურს რეალური ზავი და ვსაჭიროებთ მხოლოდ ზავს. საყურადღებო მხოლოდ ის, რაც რეალურ შეთანხმებას წარმოადგენს და რაც ორივე მხარეს შეეფერება. პოლონელებს ეს არ ესმით და თვითონ აქვთ რა აგრესიული ტენდენციები, არ შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ ჩვენც ამგვარივე არა ვართ. ისინი ლაპარაკობენ, რომ მათ არა სურთ ზავის შეკვრა მუქარის ზედგავლენით. ჩვენ რეალურ ზავათ არ მიგვაჩნია, რომლისაც ერთი მხარე მეორეს ხელს ყელში სტაცებს და ზავზე ხელის მოწერას აიძულებს. ჩვენ ამიტომ არც მოვითხოვთ [illegible] სტრატეგიულ საზღვრებს და გვსურს რეალური ზავი, და არა ბრესტისა. მაგრამ, როდესაც ვტყობთ, მათ სურთ ფიქტიური ზავი. ჩვენ მათ ვეუბნებით: „თუ თქვენ მოითხოვთ ამ გვარ ზავს ჩვენ, თუმცა გვირჩევნია ხანგრძლივი ზავი, მაგრამ მიუხედავად ამისა მზათა ვართ, რომ ამაშიდაც დაგეთანხმოთ-თქო. ნოტის შესახებ რადეკი ამბობს: „ნუ იფიქრებენ ისინი თითქოს ჩვენ ზავი გვსურს იმიტომ, რომ იარაღის ყურით.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, კომიტეტის ბინაზე (კრუზენშტერნის ქ. № 4) დანიშნულია შეერთებული სხდომა ს. ს. დ. მ. პ. თბილისის კომიტეტის და ყველა რაიონთა კოლექტივებისა. ამ კრებას უნდა დაესწრონ რაიონის მდივნებიც.

◆ **დამფუძნებელი კრების ხელოვნების** კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გამოსთქვა აზრი, მიზანშეწონილად იქნას ღონისძიებანი, რათა მოხდეს დედა ქალაქის კულტურულ დაწესებულებათა კონცენტრაცია—სახელდობრ, მუზეუმების, არქივების, სამხატვრო-გების. ამისათვის გადაეცეს ერთგვარი მუზეუმის შენობა და თუ საჭირო იქნება, შეძენილ იქნას კერძო შენობები.

**სახალხო უნივერსიტეტში** დღეს, ოთხშაბათს, 17 მარტს უნივერ. სამხარ. შესდგება გამგეობის კრება. კრება დაიწყება 7 ს. ლექციას წაიკითხავენ მე 6 აუდიტორიაში (საზოგადოებაში) ექ. ტურიაშვილი—ჰიგიენა და სოლ. [illegible] საფრანგეთის რევოლუცია.

◆ **საქართველოს სომეხთა ეროვნულმა** საბჭომ დაადგინა გაიღოს 5 ათასი მ. ფუნდი საქართველოში მცხოვრებ ღარიბ სომეხთათვის.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს მსახიობ ქალის ავადმყოფობის გამო „ლაკმეს" მაგიერად „ფაუსტი". ხუთშაბათს, 18 მარტს—სარაჯიშვილის ბენეფისი „ჰუგენოტები".

◆ **ქართველი მწერლები.** რედაქციამ მიიღო იგ. გომელაურის მიერ შედგენილი სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები, წიგნი I (უმაღლესი დაწყებითი სკოლის პირველი კლასის კურსი). გამოცემა მეორე, შეიცავს 208 გვერდ და ღირს 38 მან.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** ცხარე ცრემლებით დავიტირეთ დიდებულ. ქართული სცენის მუშაკის და ჩ წ-კელი პარტიული ამხანაგის ნინო სარიშვილის უდროოთ გარდაცვალებას. მშვიდობით ძვირფასო ნინო, შენი ხსოვნა სამუდამოთ უკვდავი იქნება ჩვენთვის. მ. ნაცვლიძე, მ. სალუქვაძე, ვ. მგელაძე, ა. ჭყონია, მ. ტულაშვილი.

◆ **ქურდობა.** 7 მარტს დოქტორმა [illegible] განუცხადა განსაკუთრებულ რაზმის უფროსს, რომ ფასდებულის წიგნთ-საცავიდან სახლობიდან (რუსთაველის პროსპ. № 17) ვიღაც უცნობებს მოუპარავთ სამხედრო რუსული ლექსიკონი, 1300 ცალი, ღირებული 260,000 მან., რომელიც ქონია იმას მიცემული ასაკინძავად ხსენებულ ფირმისათვის. განსაკუთრებულ რაზმის მიერ ეჭვით შეპყრობილ იქნა ფირმის წიგნთ-საკინძავ სახელოსნოს ხელოსანი კონსტანტინე გუკასის ძე არუთინოვი (26 წ.), რომელიც გამოტყდა რა ქურდობაში, გასცა ხსენებულ ხელოსნის მოწაფე ამორი ხაჩატურის ძე კოსტ დულიანცი-ტერ-ბარდგემოვი 15 წ. როგორც თავის თანამზრახველი და მონაწილე ამ საქმეში. არუთინოვის მოპარული საქონლის ნაწილი მიუყიდია [illegible] მაღაზიის პატრონის [illegible] (ვერის დაღმართი № 16) მოპარული საქონელი დაუბრუნდა პატრონს, საქმე გადაეცა სასამართლოს პროკურორს, დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ.

◆ რედაქციამ მიიღო კანტორის უფროსის თანაშემწე ხოშტარიასაგან თბილისის მთავარ ფოსტის კორესპონდენტთა შორის შეგროვილი ფული მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 7512 მან. (500 მ. კერენკის ფულით).

◆ **ახალი წიგნი** ქუთაისში გამოვიდა ა. კიჩილიძის ელემენტარული გეომეტრია ნაწ. II—სტერეომეტრია, თარგმანი კ. კანდელაკისა, წიგნი სუფთათ არის გამოცემული, ღირს 30 მან. გამოცემული „მომავალის" ამხ. მიერ.

◆ **გამოვიდა და იყიდება** საზოგადოების მაღაზიაში (რუს. პროსპ. სასტუმრო ორიანტ-ს ქვეშ) წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალი გამოცემანი: 1) მამალი ამბითი—მოთხრობა გ. წერეთლისა, 2) [illegible]—მოთხრობა მისივე, 3) ქართველი მწერლები—ი. გომელაურის, 4) პირველი ნაბიჯი—მოთხრობა გ. წერეთლის, 5) [illegible]—ი. შავუელის, მ. ჯანაშვილის რედაქტორობით.

### კრებები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე [illegible] ბინაზე, საქართველოს ს. დ. მ. პ. [illegible] რაიონული კოლექტივის პრეზიდიუმი იწვევს ამავე რაიონის კულტურულ-განმანათლებელი კომისიის წევრებს, საჭირო საკითხების განსახილველად.

— 17 მარტს, საღამოს 5 ს. [illegible] ბინაზე შესდგება სოც. ს.-დ. მ. პარტიის საომხეთ სექციის მორიგი კრება.

— ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე, მე-7 აუდიტორიაში დანიშნულია სოც.-დემოკრატ სტუდენტ ქალთა საერთო კრება. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, საღ. 6 ს. დანიშნულია ვერის გამგეობის ს—ბის გამგეობის საერთო სხდომა. მეტად საჭირო კითხვების გამო, გამგეობის ყველა წევრი მოვალეა სხდომას აუცილებლად დაესწროს.

# უცხოეთი

## ინგლისი.

**ირლანდიის გარშემო.** სახელმწიფო პროექტი ჰომრულის შესახებ აწესებს ირლანდიისათვის 2 პარლამენტს: ერთი იქნება ჩრდილო ირლანდიისათვის, მეორე ირლანდიის სამხრეთ ნაწილისათვის. მათ მოქმედებათა შეთანხმებისათვის დაარსებულ იქნება განსაკუთრებული საბჭო. სამხრეთ ირლანდიის პარლამენტი 128 წევრისაგან შესდგება ჩრდილოეთის—52—საგან. პარლამენტები, აირჩევა 5 წლის ვადით. ბრიტანეთის პარლამენტში ირლანდიის ეყოლება 42 დეპუტატი-წარმომადგენელი. ირლანდია მონაწილეობას იღებს საერთო სახელმწიფოებრივ ხარჯებში, მაგრამ მისი მონაწილეობა არ აღემატება 18 მილ. გირვანქა სტერლინგს. აქედან სამხრეთი ირლანდია იხდის 56 პროცენტს, ჩრდილოეთი—44 პროც. ირლანდიისათვის დაარსებული იქნება 2 სასამართლო და ერთიც უმაღლესი სააპელაციო და საკასაციო სასამართლო მთელ ირლანდიისათვის. უმაღლესი სუვერენიტეტი ირლანდიაზე ბრიტანეთს ეკუთვნის.

# ქალაქის საბჭო

15 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. მდივანი.

30 მილიონი მანეთის სესხის აღების შესახებ მოხსენებას აკეთებს გ. მაჭავარიანი.

ის აღნიშნავს ქალაქის მდგომარეობას ომამდე და ომის შემდეგ და ამბობს, რომ ქ. თბილისი ნორმალურ დროსაც დეფიციტს განიცდიდა. მისი ხარჯები ომამდე იყო 2,248 479 მან. დღეს კი ქალაქის ხარჯები ნავარაუდევია დაახლოვებით 300,000,000 მანეთი. შემოსავალი დიდათ ნაკლებია და ქალაქი თითქმის კატასტროფის წინაშე სდგას. ამის გამო სხვა საშუალებათა გამონახვის გარდა ქალაქმა უნდა მიმართოს სესხს. უნდა ვთხოვოთ მთავრობას, მაგრამ ვინაიდან მას საშუალება არ აქვს მოგვცეს იმდენი, რამდენიც საჭიროა ჩვენთვის, ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა ეთხოვოს მთავრობას 30 მილიონი მანეთი. მომხსენებელმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ქ. თბილისი არ არის დავალიანებული, ამას გარდა, მას აქვს მილიონობით ღირებული ქონება და ადვილად შეუძლებს გადაიხადოს ეს სესხი.

საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოსაზრება და დაადგინა ეთხოვოს მთავრობას 30 მილიონი მანეთი სესხათ.

წყლის ტარიფის გადიდების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ი. ბუხლიძე. ის აღნიშნავს, რომ ძლიერ სასურველი იქნებოდა, რომ ქალაქის მცხოვრებთ თუ უფასოთ არა ისეთ ფასებში მაინც მისცემოდა წყალი, რომ მომხმარებლებს ზედმეტად არ ეწუხდეს და მასთან წყალი კარგიც იყოს. ეს შეუძლებელია, რომ თვით გამგეობას იაფათ უჯდეს წყალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. წყალი გამგეობას ძვირი უჯდება. გამგეობა ყოველ გვარ ზომებს ღებულობდა ხარჯები შეემცირებინა და ამ ზომებმა ჩვენ 10,500,000 მანეთით შეგვიმცირა ხარჯები. ეს ზომები რომ წინეთ ყოფილიყო მიღებული, ჩვენ შეგვეძლო დღეს ტარიფის დაკლებაზე გველაპარაკა, მაგრამ სათბობი მასალისა და მუშა ხელის ფასები იმდენად იზრდება, რომ იძულებული ვართ მოვითხოვოთ ტარიფის გადიდება. თუ ძველი ტარიფი დარჩა, მაშინ ჩვენ 14 მილიონი მანეთის ზარალი გვექნება. ამას ჩვენ ვერ ავიტანთ და გამგეობა შემოდის საბჭოს წინაშე წყლის ტარიფი 100 პროცენტით გადიდდეს—ეს იგი, თუ წინეთ ვედრა წყალი 5 კაპეიკი ღირდა, დღეიდან 10 კაპეიკი უნდა გახდეს.

ამ გადიდებით თუმცა ჩვენ გვექნება დეფიციტი 67 000 მანეთი, მაგრამ ეს იმდენათ საგრძნობი არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ უბნებში, სადაც ღარიბი ნაწილი ცხოვრობს, 45 უფასო წყალსადენია. საფინანსო კომისიამ განიხილა ეს და დაადგინა 13 კაპეიკამდე გადიდდეს.

სახლის პატრონი წყლის ფულს ძველი პროცენტით გადაიხდის, დანარჩენი კი მდგმურებს შორის ნაწილდება და თუ სახლის პატრონიც იქვე ცხოვრობს, ისიც ანაწილებს ამ ახალ მომატებას.

საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის წინადადება. საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ მოხსენებას აკეთებს გიორგი მაჭავარიანი. ის აღნიშნავს, რომ თუ ქალაქი შემოტანილ და გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადს შემოიღებს მას, ზუსტი ცნობების თანახმად, 20 მილიონი მანეთი შემოვა. ამიტომ გამგეობამ დაადგინა შემოიღოს გარკვეული საფუთო გადასახადი ყოველგვარ შემოტანილ და გატანილ საქონელზე [illegible] დასახადი შემოღებ[illegible] თბილისის და ნავთლუღის სადგურებზე. საფინანსო კომისიის აზრით ბორბლეულობა და ფქვილი განთავისუფლებული უნდა იყოს საფუთო გადასახადისაგან.

ხმ. მზარეულოვის აზრით ასეთი გადასახადის შემოღება დიდათ გააძვირებს ცხოვრებას და ამიტომ მას მიუღებლად მიაჩნია გამგეობის წინადადება.

პ. გოთუა იცავს საფინანსო კომისიის აზრს და მოითხოვს განთავისუფლებულ იქნას გადასახადისაგან ბორბლეულობა და ფქვილი.

დ. ჩიქვინიძე მზარეულოვის საწინააღმდეგოთ ამტკიცებს, რომ ეს გადასახადი არც ისე გააძვირებს ცხოვრებას, თუ ასე შეხედეთ საკითხს, არც ერთი ტარიფის გადიდება არ იქნება მისაღები. ხელფასის მომატებით არ ძვირდება ცხოვრება, არამედ ის თავის თავად მიმდინარეობს. ასე რომ, ამ გადასახადს ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. მას წინადადება შეაქვს სოც.-დემ. ფრაქციის სახელით პირველ საჭიროების საგნებზე შემცირებულ იქნეს გადასახადი და შემოღებულ იქნეს გაკვეცილი გადასახადი.

გრ. გველესიანი იცავს ფინანსიური კომისიის აზრს. მისი აზრით ამით ისარგებლებენ ვაჭრები და ერთი ათად გადაიტანენ მომხმარებელზე. საბჭომ მიიღო სოც. დემ. ფრაქციის წინადადება.

იმის შემდეგ დადგენილ იქნა: გადიდდეს სისხლის სამართლის მილიციის უფროსს ჯამაგირი და მიეცეს მას თვეში 6700 მანეთი მისი თით თანაშემწეს 5800 მანეთი—თითოს პირველ იანვრიდან. მე-13 უბანი ლიკვიდირებულ იქნას ცალკე უბნად და დაინიშნოს კომისარი.

დ. კლდიაშვილის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო გაღებულ იქნას 5000 მანეთი.

დამტკიცებულ იქნას 1919 წლის ხარჯთ აღრიცხვა.

კუკიის რაიონში დაარსდეს ცალკე მეხანძრე რაზმის განყოფილება და მისი საჭიროებისათვის გაღებულ იქნას საჭირო თანხა.

# დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

მუშათა კლუბი. [illegible] მარტს 1910 წ ცენტრალურ კლუბში სახალხო გვარდიის ვაგზლის რაიონის შტაბის მიერ გამართულ იქნა საღამო, გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. ტრამვაის პროფკავშირთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილ იქნა „ცამბირელი" დ. ძნელაძის რეჟისორობით. წარმოდგენის შემდეგ დაუკრა ცნობილმა ვირტუოზმა ბახმონმა. შტაბი ყველა მონაწილეთ დიდ მადლობას უცხადებს.

შემოვიდა: 1) ბილეთებიდან 15,255 მან.; ლატარეიდან 8541 მ. 50 კ., ბუფეტიდან 3015 მ., ფოსტიდან 534 მ., ბუფეტიდან 1170 მ., სულ 28,515 მან. 50 კ. გასავალი: ხარჯები სულ 3843 მ. 20 კაპ. დარჩა წმინდა შემოსავალი 24,592 მ. 30 კ., რაც გადაეცემა დაზარალებულებს.

ვაგზლის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი.

ქვემოჭალის რაიონში დაარსდა გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ: ქვემოჭალის თემიდან გიორგი ჯაბადარი, სოც. დემ. თემიდან დიმიტრი ფანჯიკიძე, სახალხო გვარდიიდან აბრამ ტერ-ტერ-ძე, კოოპერატივიდან ალექსანდრე მესხიშვილი და ნონიაშვილი. კომიტეტი ენერგიულად მუშაობს, დადის ყოველ სოფელში, აგროვებს შეწირულებას, ფულს და მის შემდეგ სოფლების [illegible] პროდუქტებს და აგზავნის [illegible] სოფლებში თავის [illegible] კომისიას.

X.

— ს. კურდღლიურის თემში შეკრებილი მოსახლეობა [illegible] მისი მოხსენების გორის მაზრის [illegible] შესახებ დამფუძნებელი კრების წევრის [illegible] მ. ჯაფარიძის და სამაზრო დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელთაგან [illegible] უსაზღვრო მადლობას და თავის თანაგრძნობას [illegible] დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის დახმარებას. [illegible] ჩინჯაშვილი.

— ხოფ. ზანვი. 24 თებერვალს, შედგა ზანვის თემის საბჭოს სხდომა; განსახილველი მრავალი მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ მთავარი ყურადღება, როგორც მოსალოდნელი იყო, მიიპყრო მიწის ძვრისაგან მოულოდნელად გორის განადგურებამ, ქართლის უბედურებამ. კრება [illegible] გამოხატავს [illegible] დაზარალებულთათვის [illegible] ქრისტიანული [illegible] კომი-

---

ფრთებს შეარხევს, თითქოს აი ეს არის—ზეზე ამოიყვანსო. ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს კოლაუ ნადირაძის „ქართული პოეზია". გამოდის, კოლაუ ნადირაძე რომ არა, ქართული პოეზიის ცა დაბნელებული იქნებოდა.

მე არაფერი არ მაქვს იმის წინააღმდეგ, რომ ნადირაძე მართლაც ჩვენი პოეზიის მზეთ გადიქცეს,—ღმერთმა ქნას.

მაგრამ ეს მომავლის საქმეა; დღეს კი ამაღელვებლად პოეტს უნდა ახსოვდეს ქართული ანდაზა: ისეთმა ფურმა დამიწველოს, ჩემზე მეტს იწველიდესო.

გრიშაშვილი დუნდულოობით ნადირაძეზე მეტს იწველის და ბევრს რამს მოგვცემს, მოვუცადოთ.

შალვა აფხაიძის „პროფილები" ნიჭიერათ არის დაწერილი, თუმცა ბევრი მისი აზრი ჩემთვის მიუღებელია.

„შვილდოსანი" ნომერი 2—3 მდიდარია შინაარსით.

გრ. რობაქიძის „ამორძალი" ორიგინალურია თავის ნაპირ გადალახულობით, მაგრამ ეს სონეტიც უფრო გონებით არის ნაწერი, ვიდრე გულით. ლონდის განცდა მრთელათ არის გამოსახული.

ვალ. გაფრინდაშვილის თარგმანები საგულისხმოა და დამშვენებულია ყველა იმ ღირსებით, რაც ახასიათებს ამ პოეტის შემოქმედებას.

კოლაუ ნადირაძის „მთვარის წყალობა"-ს ნაძალადევობა ეტყობა. „თეთრით ნახევარი—დამშვიდდი, კარგი" ეს ნიჭის ძალდატანებით მიმართა, რადგანაც „კარგი" აქ მხოლოდ რითმისათვის არის მოთრეული.

„ოცნებები საქართველოზე" შთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც პოეტის განცდას აქ ყოველისფერი შეეფერება,—ეპიკაც, რითმაც, პოეტური სახეებიც.

„დისონანსები" სექსუალური სნეულების—სადიზმისა და მაზოხიზმის პოეზიაა.

თუ კი არიან ისეთი სნეულები, რომელნიც არ უნდა ჰყავდეს მათ თავისი პოეტებიც,—მაგრამ სხვა ადამიანები ამ პოეზიას ვერ გაიზიარებენ. ორი უკანასკნელი ლექსი რომ გამოაკლოთ „დისონანსებს", დარჩება მეტად ლამაზი ლექსი, გრძნობით, ნაზი სევდით და ზომიერებით მდიდარი.

„ქალბატონების" და „პირველ მარტში" სახელის, სილალე, ერთგვარი ირონია და შესაფერისი მუსიკალობა კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ.

შალვა კარმელის „მაკბეტი" არის ერთგვარი განცდა და გაფრინდაშვილის ფანტაზიის ნათესაობა.

„ფეთიმეული სხეულს" უფერულია და ალაგ-ალაგ ნაძალადევი.

„არტემიდა" ზედმიწევნით არის დაწერილი, აქ პოეტმა თავისი შემოქმედება თავისუფლათ გაშალა და გაიმარჯვა.

რაჟდენ გვეტაძის „დრტვინილი" მეტად ორიგინალური და ლამაზია, რომ ერთ ალაგას სნეული ფანტაზია არ იყოს. რა ვქნა, სნეულება არც ცხოვრებაში მიყვარს, არც პოეზიაში. მშვენიერება უკვდავია, მარადიული. სნეულება კი მომაკვდავია და წარმავალი,—მასში მშვენიერება ვერ მოთავსდება.

„დამქრალი სანთლები" ნამდვილი პოეზიაა, რომ „ან" და „ო" არ აუშნოებდეს. ამ ამაში და თამაში არავითარი გრძნობა არ არის.

ნიკო ლორთქიფანიძის „ბებრიკი" საუცხოო პოეტური სახე—უნაკლოთ მოხაზული.

სერგო კლდიაშვილის „ხალიჩა"-ზე ითქმის: იწილო, ბიწილო, შროშანო, გვერიტინო. არც თავი აქვს, არც ბოლო.

სანდრო ცირეკიძის „ჰვიჟრი" პოეტური სურათია და სრულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

იგივე უნდა ვთქვა იმის „ზამთრის ქიმერაზე".

ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოგემა" შინაარსით მდიდარია და საინტერესო. მართალია, ბოგემას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ თავისი ნამდვილი სახე მან მხოლოთ პარიზში მიიღო.

ბოგემას აქვს თავისი პოეზია, ჰყავს მეტად ნიჭიერი პოეტები, მაგრამ მთელი დღევანდელი პოეზია ბოგემის ნაყოფი არ არის. ავტორი მეტათ აფართოებს ბოგემის შინაარს და შიგ ათავსებს ზოგიერთ ისეთ პოეტებს, რომლებიც—ჩემი აზრით—ბოგემას არ უნდა ეკუთვნოდნენ.

ლოთი და ლატაკი ბოგემა, მართალია, ქმნის თავის პოეზიას, რომელსაც ბევრი ღირსება აქვს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იქ ბოგემაა, არამედ იმიტომ, რომ იქ ბევრი დიდი ნიჭია.

ეგოისტური მიმართულება უნიჭობას ნიჭით ვერ გადააქცევს; ნიჭს კი ყველგან შეაქვს სილამაზე.

ბოგემის პოეტები ქმნიან სხვადასხვა სილამაზეს. მაგრამ ხშირად ისინი ცდილობენ სიმახინჯე და მშვენიერება შეარიგონ, შეადუღონ, რაც შეუძლებელია და ჩემთვის მიუღებელი. ყურ მოჭრილი ვანდეგიკა ჩემთვის მახინჯია.

სიმახინჯის ესთეტიკა მისაღებია მხოლოდ და მხოლოდ მცირე ჯგუფისათვის. კაცობრიობის დიდი ნაწილი კი მას არასოდეს მიიღებს. სიმახინჯეს ადამიანი გაურბის, ებრძვის. შეიძლება ვერასოდეს ვერ დაამარცხოს და ვერსად დაამარცხოს—ეს სხვა კითხვაა,—მის წინაშე კი ქედს არ მოიხრის და არ შეურიგდება, ამაში ღრმათ ვარ დარწმუნებული.

სანდრო ცირეკიძის „ორისახიანი იანუსი" შინაარსიანია.

კოლაუ ნადირაძეს თავი ვინმე მოსვენებას არ აძლევს: გრიშაშვილი და შანშიაშვილი. რა არ გინდათ, რომ იმის „ქართულ პოეზიაში" არ იყოს! სტილის პროსტიტუცია, ბანალობა, ქედუხრის, მოტყუება პოეტის სახელის სპეკულიაცია, ქართულ პოეზიის გარყვნა, გრიშაშვილის კრიტიკანიზმი და სხვ.

ასეთი ხნე პოეზიაში გასაკვირია და დასაგმობი.

კ. ნადირაძე სრულ სიმართლეს სწერდა ამ სიტყვებში:

„ახ, მე დავრწმუნდი—საჭიროა მეტი
ზრდილობა."

ღირსებაც რომ საჭიროა და განსაკუთრებით პოეზიაში.

ს. შანშიაშვილის „[illegible] ბატონიშვილი" ნიჭიერად დაწერილი პოემაა, ასეთი შინაარსის ნაწარმოებს აკლია „მწყემსის" რითმი და მუსიკა არ შეეფერება.

შანშიაშვილს რომ ნიჭი აქვს ნამდვილი ხელოვანისა და უეჭველად დასტოვებს თავის კვალს ჩვენს პოეზიაში, ამის უარყოფა მხოლოდ სიძულვილს შეუძლიან.

ივ. გომართელი.

ბიური შეკრების იმავე დღეს შედგენა მუშაობის გეგმა, დაინიშნა რომელ სოფელში უნდა იმუშაოს და ვინ შეუდგა მუშაობას. დამსწრე.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 11 მარტს შესდგა საქ. ს.-დ. მ. პარტიის მეთერთ რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. მინ. ტოროშელიძე, რომელიც აცნობს კრებას რევოლუციის დღის მომწყობი კომიტეტის მიერ განხორციელებულ დღესასწაულის წესრიგს. ცნობა მიღებულ იქნა მხედველობაში და დადგენილ იქნა ამხანაგებს თავის ადგილზე 12 მარტის დღესასწაულში მიიღონ მხურვალე მონაწილეობა.

ამხ. ბ. ლომიძისა და [illegible] საქმის საბოლოოდ მოხსენება და ცენტრ. კომ. მიერი კითხვის დაყენება, შეიქნა კოლექტივის პრეზიდიუმს.

გორიში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ, კრება ადგენს: ყოველმა ამხანაგმა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დახმარების აღმოჩენაში, თავის მხრივ კი კოლექტივმა გადასცეს დაზარალებულთა სასარგებლოდ ათასი მანეთი. პარტიული ორგანიზაციების მოწყობის შესახებ კრება ადგენს: იმ ადგილებში, სადაც დღემდის არ არსებობდა პარტიული ორგანიზაციები, დაუყოვნებლივ მოეწყოს. ამ საქმის სისრულეში მოყვანა დაევალა საორგანიზაციო კომისიას. რკინის გზის სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების პირველ რაიონში გადარიცხვას კოლექტივი ადასტურებს. ფინანსიურ კომისიას კრება ავალებს განაგრძოს თავისი მუშაობა.

თედორე ხუხუნაიშვილი.

---

თფილისი. 10 მარტს შესდგა თფილისის საქალაქო სადგურის ს. ს.-დ. მ. პარტიის წევრთა კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება პრეზიდიუმის და ქვე-კოლექტივისა, 2) მოხსენება თავმჯდომარის ამხ. დ. ძლიერის, 3) არჩევნების და ჯამაგირების საკითხი. სამკითხველოს საკითხი, პრეზიდიუმის და ქვე-კოლექტივის მუშაობა, მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ასამბაძე, რისაც კრება სრულიად კმაყოფილი დარჩა. სხვა დანარჩენი კითხვების შესახებ, მოხსენებას აკეთებს სადგურის ძირითადი პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე ამხ. ძლიერი, რომელმაც ვრცლად გააცნო პარტიის კავშირის კომიტეტის მუშაობა. მოხსენებები დაადასტურეს.

კრებამ მოისმინა მოხსენება სამკითხველოს შესახებ, გამოირკვა: სამკითხველო [illegible] სრულიად საქართველოს სახაზინო რკინის გზის მუშების და მოსამსახურეების ცენტრალური პროფესიონალური [illegible] კავშირისაგან. სამკითხველოს აქვს თანხა—428 მ.

კრებამ გახსნა მუშების შტატში ჩარიცხვის საკითხი. არის პროექტი შედგენილი, რომლის ძალითაც სამუშაოზე დაშვებული მუშა შვიდი დღის განმავლობაში უნდა იქნეს ჩარიცხული შტატში. ჯამაგირები გადაწყვეტილია თვის 8, 9 რიცხვებისათვის. [illegible] წინადადებას უნდა გაუწიონ ყველა შეგნებულმა მუშებმა. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება, რათა განხორციელდეს შრომის ნორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს მუშაობის ნაყოფიერებას.

დასასრულ მოხდა სარევიზიო კომისიის არჩევნები. არჩეულ იქნენ: 1) ამხ. ა. ინწკირველი, 2) გ. ღლონტი 3) ა. მახარაძე.

14 მარტს მოხდა ამავე სადგურის მუშების და მოსამსახურეების ს. ს.-დ. მუშათა პარტიის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს ამხ. ასამბაძემ, წითლიძემ და ღლონტმა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა შესახებ. [illegible] კრებამ [illegible] ერთხმად მიიღო ამხ. პ. ინწკირველის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლუცია: [illegible] რომელიც საქართველოს [illegible] თავს [illegible] ყველა [illegible] წვლილი, რათა [illegible] ქართლის დიდ [illegible] და [illegible] სასწრაფო დახმარება უნდა აღმოუჩინოს საქალაქო სადგურის ს. ს.-დ. მუშათა პარტიული კრება მოითხოვს სრულიად საქართველოს სახაზინო რკინის გზის მუშების და მოსამსახურეების ცენტრალური კავშირის მთავარი კომიტეტისაგან, რათა მან მიიღოს ზომები, რომ სახაზინო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა ერთი დღის ჯამაგირი გაიღონ დაზარალებულთა სასარგებლოთ.

ს. ჩ.

## მუშათა შორის

ხაშ. ხანაინა. 3 მარტს შესდგა საერთო კრება სანდარ-კოშერის ყველა [illegible] რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისა. თავმჯდომარედ იქნა არჩეული [illegible]შვილი, [illegible] მეფარიშვილი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) გორში და მის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ წვლილის გაღება, 2) [illegible] ნეიტრალური ზონის გენერალ-გუბერნატორთან, 3) სამკითხველოს შესახებ, 4) [illegible] განცხადება მუშა-მატარებლის დანიშვნის შესახებ სადგურ თფილისს შუა.

1-ლ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე. [illegible] ყველანი იმას აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ ვართ უმწეო მდგომარეობაში, მაგრამ [illegible] ჩვენი წვლილით დავეხმაროთ ბუნებით განადგურებულ გორელ მოძმეებს. კრებამ გამოთქვა თავისი ღრმა მწუხარება. ერთხმად დაადგინეს შემდეგი: ვიღებთ რა მხედველობაში იმ უბედურ გაჭირვებას, რომელიც გორს და გორის მაზრაში მცხოვრებთ დაატყდა თავს, რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებას, თითო დღის ჯამაგირის გადადების შესახებ, ვუმატებთ ჩვენი მხრით კიდევ ხუთი დღის ჯამაგირს, ე. ი. სულ იქნება ექვსი დღის ჯამაგირი. ამის მიზნით ვთხოვთ რაიონულ გამგეობას იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა დაკავებულ იქნას ყოველთვიურად თითო დღის ჯამაგირი. (ექვსი თვის განმავლობაში). ეს დადგენილება გავრცელებული იქნას აგრეთვე პროფესიონალურ კავშირის არა წევრებზედაც, ვინაიდან საერთო კრება იყო შემდგარი ადმინისტრაციის მონაწილეობით და მათი სურვილითაც იქნა მიღებული ზემო აღნიშნული დადგენილება.

მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ნიკოლაძე. კრებამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მოლაპარაკება ამიერ ნეიტრალური ზონის გენერალ-გუბერნატორთან სხვა-და-სხვა ხასიათის საკითხების შესახებ, სხვათა შორის, კომისიამ უნდა მოითხოვოს კატეგორიულად აკრძალვა [illegible] ბაზრის" ადგილი, რომელსაც მავნებლობის მეტი არა მოაქვს რა.

ხსენებულ ბაზრის შესახებ [illegible] სანაინის მუშა მოსამსახურენი თხოულობენ ნეიტრალური ზონის კომისარიატს, რათა აღებულ იქნას ბაზარი, კომისარიატი არავითარ ზომებს არ ღებულობს და არც აქცევს ყურადღებას ჩვენ კანონიერ მოთხოვნილებას, რაც იწვევს დიდ უკმაყოფილებას მუშა მოსამსახურეთა შორის და თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული, მოსალოდნელია არა სასიამოვნო მოვლენები.

მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა სამკითხველოს გამგეობის წევრმა მოქ. ტყეშელაძემ, რომელმაც საზოგადოებას გააცნო სამკითხველოს მდგომარეობა.

მეოთხე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: სანდარ-სადახლოს მუშა-მოსამსახურეებმა მიმართონ თხოვნით მოძრაობის უფროსს, რათა მან იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ დანიშნული იქნეს კვირაში ერთხელ მუშა-მატარებელი როგორც ეს არის სხვა პუნქტებში. სხვა საკითხებიც იყო დღის წესრიგში, მაგრამ უდროობის გამო გადადებულ იქნა მომავალ კრებისთვის.

მიხეილი მეფარიშვილი.

## პროვინცია

თელავის მაზრა. გორში მომხდარმა უბედურებამ დიდი მწუხარება გამოიწვია თელავის მაზრის მცხოვრებთა შორის. მთელი მაზრა ფეხზე დადგა და ამ ამბის გამო და სცდილობს ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ქართლის გულს გორს და მის მაზრაში დაზარალებულ მცხოვრებთ.

დიდი და პატარა მზად არის ყოველგვარი წვლილი გაიღოს, [illegible] წვლილი თავიანთ თანამოძმეებს, შემოწირულება უხვად და თანაგრძნობა დიდია. ეს მოვლენა ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ძველად ქართლს და კახეთს ხშირად სწვევია ერთი მტერი და უბედურება. ისინი ერთად იყვნენ მოზიარენი ჭირსა და ლხინს. ხშირად გადმოდიოდა ერთი მხარის დასახმარებლად იმავე [illegible] დიდი [illegible], რომელსაც ეხლა მოითხოვს ქართლი კახეთისაგან. და აქ არც ეხლა [illegible] გულით მისი მაზრის მცხოვრებნი. გორის ამბების მოსვლისთანავე თელავის საზოგადო ერობის და ქალაქის თვითმმართველობის ინიციატივით შესდგა ცენტრალური გორის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი, რომელსაც [illegible] ადგილზე დამხმარე კომიტეტების მოწყობა, როგორც თელავში, ასევე მაზრაში.

დიდ დახმარებას უწევს კომიტეტებს მოწყობის საქმეში დამფუძნებელი კრების წევრი სოსო მაჭავარიანი. მაჭავარიანთან ერთად მოგზაურობენ მაზრაში ცენტრალური დამხმარე კომიტეტის ორი წევრი, რომლებიც ყველა თემში აწყობენ მიტინგებს და ირჩევენ დამხმარე კომიტეტებს. ბევრ ადგილას კომიტეტები უკვე შესდგნენ და შემოწირულებასაც ჰკრეფენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის განსაკუთრებითი თანაგრძნობა, რომელსაც იჩენენ სოფლის მცხოვრებნი. ისინი უხვად სწირავენ გორის დასახმარებლად: ხორბალს, სიმინდს, ღვინოს და სხვა ამგვარ სურსათ-სანოვაგეს. ბევრი გლეხი მზად არის მიიღოს დაზარალებული თანამოძმენი თავის ოჯახში და დაუთმოს ნაწილი თავის საკუთარ კერისა.

ხშირად გაიგონებთ სოფლის ყრილობაზედ გლეხისაგან: „ნუ თუ ჩამოვიდნენ და ორ სამ სულს მეც შევინახავ“.

თვით პირველ-დაწყებითი სკოლის მოწაფეებმაც კი არ დატოვეს უყურადღებოთ გორის მცხოვრებთა უბედურება. ხშირად შეხვდებით პატარა ბავშს სიით ხელში, რომელიც შემოწირულებას ჰკრეფს თავის პატარა ამხანაგებს შორის.

მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს, რომ აღმოჩნდა ერთი ნაწილი საზოგადოებისა, რომელთაც სრული უგულობა გამოიჩინეს ამ დიდი უბედურების დროს. ესენი გახლავთ თელავის ადგილობრივი ვაჭრები, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ სამ მარტს მაზრის ცენტრალური დამხმარე კომიტეტისაგან მოსალაპარაკებლად, თუ რაგვარ დახმარებას აღმოუჩენდნენ ისინი დაზარალებულთ, მაგრამ კრებაზე გამოცხადდა სამასი კაცის მაგიერ, მხოლოდ ოცი კაცი.

მაშინ, როდესაც ღარიბ ოჯახიდან გამოსული მოწაფე არ იშურებს შემოწირულებას, თელავის ვაჭრები სრულ გულგრილობას იჩენენ და თავს იმართლებენ იმით, რომ მითომ მათ არ იციან ნამდვილი გორის უბედურების შესახებ. მგონი ახლა მაინც გაიგებდნენ [illegible] თელავის ვაჭრები გორის უბედურებას. ვნახოთ..

კომიტეტის წევრთაგანი.

---

ს. დიდი-ჯიხაიში. 7 მარტს, მოხდა ადგილობრივ შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წლიური კრება. დაესწრო 160 წევრი. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. დვალიძე, მდივნად [illegible]. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) გასული წლის ანგარიშების განხილვა, 2) მოგების განაწილება, 3) მოსარგებლე ფულის პროცენტები, 4) სესხი, 5) ბუჰგალტერიის კურსებზე გამგეობის წევრის გაგზავნა, 6) მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და 7) მოსამსახურე პირების არჩევნები. პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ ამ. [illegible]ძემ, რომელმაც აღნიშნა ის არა ნორმალური პირობები, რომლებშიაც უხდებოდა მუშაობა გამგეობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამგეობამ [illegible] სავაჭრო ოპერაციებით და სხვა საშუალებებით ბანკი საქმის გაფართოვებას. გამგეობამ შესძლო შედავათიან ფასებში მიეწოდებინა წევრებისათვის [illegible], გოგირდი და აბრეშუმის თესლი. ამას გარდა ყოველივე ხარჯების გარეშე, წმინდა მოგება დარჩა ამხანაგობას 9,315 მან. და 45 კაპ. წარმოდგენილი ანგარიშები კრებამ ერთხმად დაამტკიცა და გამგეობას ენერგიული მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა. ამ თანხიდან კრებამ გადასდო საქველმოქმედო მიზნებისათვის: გორში დაზარალებულთათვის—3 000 მან., სახალხო სახლისათვის 1500 მან., სამკითხველოსათვის—1000 მან., გამგეობის თავმჯდომარეს საჩუქრად 490 მანეთი, დანარჩენი თანხიდან დაკმაყოფილებულ იქნა [illegible] მოსარგებლე ფულის პროცენტების გადიდება [illegible] კრებამ არ იხურვა და დატოვა ძველი. სესხის შესახებ კრებამ დაადგინა [illegible] სადაც ჯერ არის, რათა ნება დართონ ამხანაგობას გახსნას ერთი მილიონ მანეთამდე [illegible] და აბრეშუმის თესლის [illegible]. ბუჰგალტერიის შესახებ კრებამ დაადგინა გაიგზავნოს ერთი თვით კურსებზე ბანკის ხარჯით გამგეობის წევრი ი. მელაძე, მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვაში ცვლილება გამოიწვია მოსამსახურე პირების ჯამაგირებმა. კრებამ მათ ჯამაგირები გაადიდა. გამგეობის წევრებს 800 მანეთი თითოს, ხოლო რწმუნებულ (წევრებს) კი 60 მანეთი თითოს სხდომაზე. ამის შემდეგ მოხდა თანამდებობის პირთა არჩევნები. ახლადარჩეული გამგეობის თავმჯდომარე, სამი რჩეული წევრი და სარევიზიო კომისია. გამგეობის თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ი. მელაძე, რომელიც წინეთ მუშაობდა გამგეობაში. გამგეობის წევრად [illegible]. მარჩეველ წევრებად: [illegible], ალ. შუბლაძე და ნეს. [illegible]. სარევიზიო კომისიაში: გერ. [illegible], ათ. ლეჟავა და კოლ. სოხელია.

ნოდე.

## სიჩუმე შერჩით!

(პასუხად ბ-ნ ი. დ. იოსავას).

ჩვენ წინა წერილში (იხ. „ერთობა“ №№ 30, 31) თუმცა ვამბობდით, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი პასუხია და მეტს აღარას ვიტყვით, ბ. იოსავა, თქვენს შესახებ, მაგრამ, რადგან ერთხელ კიდევ გამოილაშქრეთ ჩვენს წინააღმდეგ და მოგინდომებიათ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, ამიტომ იძულებული ვხდებით მოკლედ კიდევ გიპასუხოთ.

თქვენმა წერილმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, თითქო არ [illegible], ვინც [illegible] ეკონომიური საზოგადოების საქმეებს, იმათზე [illegible]: [illegible] მიერ დაჭერილი ბარათი [illegible] და თავის დროზე [illegible], [illegible] რადგან [illegible], [illegible] ზედმეტი, რომელიც გამცემს.

თქვენ სწერთ (იხ. „ერთობა“ № 57 და 58) „შეუძლებელი“ მე არ დამიცავსო, რადგან ვითომ ერთი სიტყვითაც არ გიხსენებიათ. რა საჭიროა, ბ-ნო იოსავა, სიტყვის ბანზე აგდება? განა უსათუოდ „შეუძლებელი“ უნდა გეხსენებინათ, რომ [illegible], თქვენ იცავდით მის ყველა დებულებებს, რომლებიც ჩვენ, საბჭომ, გამხილეთ, აქედან აშკარა ფაქტია, რომ იცავდით, ამას მტკიცება არ სჭირია. საბჭოს არც არასოდეს უფიქრია თქვენი მოწინააღმდეგეობა და გამოლაშქრება საზოგადო კრებაზე, იმიტომ რომ თქვენი მოღვაწეობაც საკმარისი [illegible] და საბჭო მხოლოდ ფაქტებს აღნიშნავს, ამითი კმაყოფილდება—დასკვნასა და განაჩენს კი საზოგადო კრება გამოიტანს [illegible], ნათქვამია, საზოგადო კრებაც ხომ შორს არაა არის!

წინა წერილებში, თქვენ პირადათ აგებდით პასუხს და ამ უკანასკნელში კი ამხანაგების სახელითაც იწყებთ ლაპარაკს და რადგან ეს ასეა, ჩვენც იძულებული ვხდებით თქვენი ზოგიერთი ამხანაგების მოქმედებიდანაც გამოვიტანოთ სინათლეზე ცოტა რამ, რაც შეიძლება თქვენც იცით, მაგრამ, ალბათ „ტაქტიკური“ მოსაზრებით სდუმხართ.

ჩვენ არას ვამბობთ იმ ბრალდებაზე, რის გამოც თქვენი ზოგიერთი თანამოღვაწენი სამართალში არიან მიცემული, ეს მართლმსაჯულების საქმეა და ის გაარჩევს მტყუანსა და მართალს. მხოლოდ აღვნიშნავთ, რაც უცილობლად დამტკიცებულია.

ჩეკით № 13|11687 მოსკოვის სახალხო ბანკიდან მიღებულია 13,000 მან. 16|VII. ორდერით № 1501 (გამოწერილია 29|IX, კასის წიგნაკში გატარებულია 2|XII) გამგეობის წევრის მოლარის სახელზე იმავე ბანკში ფულის ანგარიშზე შეტანილად გამოწერილია 10 000 მან. [illegible], ხსენებული თანხები [illegible] ან მოხვდა დანიშნულებისამებრ? არაა ამის შესახებ [illegible] ოქმი შედგენილი [illegible] და [illegible] ბუხგალტერის მიერ ხელმოწერილი. კანტორამ არ იცის რა დანიშნულება მიეცა ფულებს, იქნებ თქვენ იცოდეთ? [illegible] ანგარიშების გასასწორებლათ აღებული ფულები სად წავიდა? მოლარეს ჯიბეში?

იმავე მოლარეს 15 ოქტომბერს და 10 ნოემბერს 50 ფ. 32 გირ. ქაღალდისა და 30 ფ. კანცელარიის ღირებულება 39 940 მ. ჩეკით შეტანილი აქვს [illegible] მაღაზიაში და მხოლოდ ამ დღეებში „წამოსცდა“ ხსენებული მაღაზიის [illegible] ბ. შეროზიას, რომ იმავე მოლარეს [illegible], ნაწყვეტი და სხვა საქონელი [illegible] მაღაზიიდან და მის ანგარიშში შემოიტანეს ფული. „აბა [illegible]“ ჩვენ [illegible], თქვენ [illegible] „ხედებით“. ბ. შეროზიამ თავის პირით განაცხადა საბჭოს სხდომაზე და ხელიც მოაწერა ჩვენებას, რომ მან მოიპარა 130 000 მან. საქონელი, [illegible] და რომ „[illegible]“ [illegible], შეთანხმებით ნოქარი და გამგეობის წევრი: შენ მე გამოუტანე [illegible] საქონელი, შენც წაიღე და მე [illegible] საქონლის ფულს შემოვიტან [illegible] (ე. ი. თუ მაღაზიაში ფული შედის. მაშასადამე, სამაგიეროდ საქონელი გადის იქიდან და [illegible]) რომელიც მაღაზიას არ აწერია და [illegible] ერთი ჯიბის [illegible] 2 კოოპერატიული [illegible] და პირველ ხანებში მიზანსაც მიაღწიეს, მაგრამ [illegible] არ დაიფარა და [illegible]. თქვენ [illegible] რომელიც [illegible]..

რაც შეეხება ხსენებულ ნოქარს შეროზიას თქვენ მიერ გადაყენებას გამგეობის წევრების მოხსენებით, ჩვენ თითქო [illegible] ვართ, ის გამგეობის წევრი, რომელმაც მისი გადაყენების შესახებ მოახსენა, [illegible], რომ საბჭოს შეკითხვაზე ნოქარმა შეროზიამ [illegible] 5000 მანეთის ქრთამის მიცემა და განაცხადა, ეს მხოლოდ მიტომ [illegible], რომ [illegible] კი არის [illegible].

ჩვენ განმეორებით მოგახსენებთ, რომ მუშა მოსამსახურეთა საბჭო [illegible] 20 აგვისტოს 1919 წლის [illegible] ჩვენ არ [illegible] პასუხს.

[illegible] მუშა მოსამსახურეთა საბჭო.

(დასასრული იქნება.)

## განცხადებანი

[illegible]

### იყიდება
### ნერგები და მაჟალო

სადგური სურა.
(98, 5—2)

---

ექიმი დ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 37 [illegible]

---

ექიმი ქალი
**მ. მ. ალფეევი**
წყნეთის ქუჩა № 36. იღებს ყოველდღე 12—2 საათამდე 6—7. სპეციალური [illegible] სნეულებით ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

---

ექიმი
**ნ. დ. ცქრიაშვილი**
იღებს შინაგან, [illegible] და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლაევის ქუჩა, № 7, [illegible]. ტელ. 14—18. 119—თ.)

---

ექიმი
დოქ. კოსტ. [illegible]
(ოკულისტი)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. [illegible] ქუჩა № 53.
(თ. 531)

---

ექიმი **ა. ლევენშტეინი**
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი, [illegible] სნეულებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, ქალების და ნერვული სისტემის. რენტგენი და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კირილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

---

[illegible] სამკურნალო
**ექ. ი. მ. მძინარიშვილის**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და [illegible] ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87. მიღება ყოველგვარ სნეულებიან ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროთათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.

ილიკის ექიმები
ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. [illegible]—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგ. ავადმყ. და მიკრო—ბიოლ. ანალიზი.
ა. გ. [illegible]—ხირურგ. ავადმყ.
ი. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. [illegible]—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
ე. დ. შალამბერიძე—ქალის ავადმყ. და საბებიო.

სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანის ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606“ და „914“ შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განავალის და სხვ. (თ. 009)

---

**ექიმი ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილის 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიცა“-ს პირდაპირ. ტელ. 14—26. (154—თ.)

---

ექიმი
**ჰ. გ. მართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606“ და 914 შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 8, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ. (თ. 546)

---

[illegible] კლინიკების
**მ. გ. მეჯრიშვილი**
შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] კაბინეტში. გასინჯვა და [illegible] X-ს სხივებით. [illegible] 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 22, ტელეფ. 7—82. [illegible] (თ.620)

---

ექიმი [illegible]
სპეციალურად [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე [illegible] სნეულებანი. [illegible] დილით 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 22

---

## პირველი
## აზერბაიჯან-საქართველოს ნავთის სამრეწველო ამხანაგობა

მთავარი კანტორა ქ. ბაქოში, ძველი პოლიციის ქ., № 14, ტელეფონი 30—56. განყოფილება ქალაქ თფილისში, სამტრედიაში, ხონში, მალე იქნება ფოთში და ქუთაისში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საქართველოს რესპუბლიკის პატივცემულ მოქალაქეებს ნავთის და მისი პროდუქტების მოვაჭრეებს, აგრეთვე დაწესებულებებს, მოქალაქეთ ყურადღება ჩვენს 18 რა 1920 წ. ახლად გახსნილ ფირმას. ფირმა აწვდის ყველას საქონელს, ხელმისაწვდომ ფასებში, როგორც ადგილობრივ საქართველოში, აგრეთვე ტრანზიტში ყველა ქვეყნებში, ყოველნაირ ჭურჭლებით: ქვაბებით, ბიტონებით: ნავთს, მაზუთს, ბენზინს, მაშინის ზეთს, საპონის ხურთკალს, სოლიაროვოეს, ვერტიცხნოე ზეთებს, ეტლების მაზებს და სხვა ნავთის ყოველნაირ პროდუქტებს; ყოველივე საქმის დაწყებისათვის რკინის გზებზე, ნავთის სადენში, ბაქოს რიგში, ღებულობს თავის თავზე მოთავეობას; შეკვეთები მიიღება ქალაქ თფილისში: სასტუმრო „ავრორა“ ვარანცოვის ძეგლთან დილის 9—2 საათამდე. საღამოს 6—9 საათამდე, აგრეთვე ქალ. სამტრედიაში სადგურთან ერთად, ქ. ხონში, ქ. ბაქოში ძველ პოლიციის ქუჩა, № 14, ტელეფონი 30—56.

პატივისცემით დ. ი. იანქლევიჩ.
ქ. ი. კობეშავ ძე.
(992—1—1)

ხუთშაბათს ამ მარტის 18 დღესა დილის 11 საათზე მიხეილის პროსპექტზე

## სახელოსნო კლუბში დანიშნულია
## წლიური საზოგადო კრება

თფილისის ღვინით მოვაჭრეთა კავშირის წევრებისა.

განსარჩევი საკითხები: განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ბალანსისა და 1920 წლის ხარჯთაღრიცხვისა, არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრებისა. გამგეობა ამას აუწყებს ზემოხსენებული კავშირის წევრებს და სთხოვს მათ დაესწრონ აღნიშნულ კრებას.
(970 1—1)

სწრაფმბეჭდავი სტამბა [illegible], [illegible] № 1.